აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

მთავრობის საქმიანობის ანგარიში

2025-2026

წინამდებარე ანგარიში მოიცავს ინფორმაციას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ძირითადი აქტივობებისა და ღონისძიებების შესახებ, სამთავრობო პროგრამაში გაწერილი პრიორიტეტებისა და რეფორმების დღის წესრიგის შესაბამისად.

ეკონომიკური განვითარება

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის ანალიზი. რეგიონის მთლიანი შიდა პროდუქტი 2012 წელთან შედარებით (2,5 მილიარდი ლარი) 2024 წლისათვის გაზრდილია 245 %-ით და 8.6 მილიარდ ლარს შეადგენს, ზრდა წინა წელთან შედარებით 12 %-ია (აჭარის 2025 წლის მშპ-ს მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2026 წლის დეკემბერში). **2014-2024 წლებში, აჭარის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) საშუალო წლიური ზრდის ტემპი 12 %-ს შეადგენდა.** ამავე პერიოდში, მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში: მშენებლობის სექტორი - 220 % (საშუალო წლიური ზრდა 16.5 %), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები - 125 % (საშუალო წლიური ზრდა 8.6 %), განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობები - 281 % (საშუალო წლიური ზრდა 20 %), საბითუმო და საცალო ვაჭრობა - 202 % (საშუალო წლიური ზრდა 12 %), ტრანსპორტი და დასაწყობება - 313 % (საშუალო წლიური ზრდა 15 %).

2012 წელთან შედარებით, 2024 წელს 215%-ანი ზრდა ფიქსირდება მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე (ლარში გამოხატული) მაჩვენებლის მიხედვით, რაც მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდაზე მიუთითებს. ამავეს მოწმობს 2014-2024 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე მაჩვენებლის საშუალო წლიური ზრდის ტემპიც - 12 %. აღნიშნული მაჩვენებელი 2024 წელს წინა წელთან შედარებით 12 %-ით გაიზარდა და 23,771 ლარი შეადგინა.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აშშ დოლარში გამოხატული მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) - ერთ სულ მოსახლეზე 2024 წელს, 2012 წელთან შედარებით 91 %-ით არის გაზრდილი და 8 731 აშშ დოლარს შეადგენს.

არსებული პროგნოზით, 2026-2029 წლებში ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) (ლარში გამოხატული) საშუალო წლიური ზრდა 10-11 %-ის ფარგლებში შენარჩუნდება და 2029 წლისათვის 37 000 ლარს გადააჭარბებს.

ფისკალური მაჩვენებლები და ფინანსური სექტორი

2020-2025 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 23%-ია, ხოლო **2026 წლის გეგმა 1 მილიარდ ლარს აღემატება, რაც 2025 წელთან შედარებით, 10 %-ანი ზრდაა.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების პირველი კვარტლის შესრულება 203 421 200 ლარს, გეგმის 104,2 % - ს შეადგენს.

შემოსავლების გეგმა 185 236 400 ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ 202 912 400 ლარი, 109,5 % შეადგინა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2026 წლის I კვარტლის შემოსავლების უდიდესი ნაწილი, საერთო შემოსავლების 97,9 პროცენტი გადასახადებზე მოდის, რომელიც მხოლოდ საშემოსავლო გადასახადს მოიცავს. საშემოსავლო გადასახადის ფაქტობრივმა შესრულებამ 198 584 200 ლარი, გეგმის 109,1 % შეადგინა.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფორმირებაში უდიდესი წვლილი საშემოსავლო გადასახადზე მოდის, რომელიც 2013-2025 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ 15 %-ით იზრდებოდა, ხოლო 2012 წელთან (124 მილიონი ლარი) შედარებით 2025 წელს თითქმის 6-ჯერ გაიზარდა და 726 მილიონი ლარი შეადგინა.

- 2026-2029 წლებში საშემოსავლო გადასახადის გეგმა ჯამურად 3,6 მილიარდ ლარს (2026 წ - 800 მლნ ლარი, ზრდა წინა წელთან შედარებით - 21 %), ხოლო არაფინანანსური აქტივების კლების გეგმა 485 მილიონ ლარს შეადგენს (2026 წ - 155 მლნ ლარი).
- 2029 წლისათვის საშემოსავლო გადასახადის სახით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში დაახლოებით 1 მილიარდი ლარის მობილიზება მოხდება.
- 2013-2025 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის **რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დაფინანსებული კაპიტალური პროექტების ჯამურმა ღირებულებამ დაახლოებით 2,8 მილიარდი ლარი შეადგინა.**
- 2026-2029 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების ჯამური საპროექტო ღირებულება დაახლოებით 2 მილიარდ ლარზე მეტია.
- 2026-2029 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობა 657,5 მილიონი ლარია, რაც სხვადასხვა მნიშვნელოვან მიმართულებას მოხმარდება.

ეკონომიკის ზრდის კვალდაკვალ, მნიშვნელოვნად გაიზარდა ფინანსური სექტორის ჩართულობა ეკონომიკაში. **კომერციული ბანკების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის დაკრედიტება 2012 წელთან შედარებით თითქმის 9-ჯერ გაიზარდა და 2025 წელს 5.7 მილიარდი ლარი შეადგინა (ზრდა წინა წელთან შედარებით 7 %).** ბანკების მიერ იურიდიულ პირებზე გაცემულმა სესხების მთლიანმა მოცულობამ 2025 წელს 1.4 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 2012 წელთან შედარებით 295 %-ანი ზრდაა. 2025 წლისათვის დეპოზიტების საერთო მოცულობამ 4.2 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 466 %-ით მეტია. ლარში განთავსებული დეპოზიტები 2012 წელთან შედარებით (322 მილიონი ლარი) 2025 წელს გაიზარდა 4-ჯერ და 1.7 მილიარდი ლარი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტები 2025 წელს 2012 წელთან შედარებით 7-ჯერ არის გაზრდილი და 2.5 მილიარდ ლარს შეადგენს.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განლაგებული ბარათის მიმღები მოწყობილობებით შესრულებული ოპერაციების ჯამური მოცულობა 2025 წელს წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში 10 %-ით გაიზარდა და 9.9 მილიარდი ლარი შეადგინა, საიდანაც უცხოური ბარათებით შესრულებული ოპერაციები 1.5 მილიარდ ლარს (ზრდა 20 %), ხოლო ქართული ბარათებით შესრულებული ოპერაციები 8.5 მილიარდ ლარს (ზრდა 8 %) შეადგენს.

ბიზნესის ხელშეწყობა და დასაქმება

ინკლუზიური ზრდის მისაღწევად, აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმებულთა შემოსავლების ზრდის ტენდენცია. **2012 წელს უმუშევრობის დონე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 37.6 % იყო, ხოლო 2024 წელს უმუშევრობის დონემ 11.3 % შეადგინა.** ეს მიანიშნებს, რომ შრომის ბაზარზე დასაქმების კუთხით პოზიტიური ძვრები დაფიქსირდა. **2024 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები 2012 წელთან შედარებით გაზრდილია 191 %-ით.**

2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებულია 33 554 აქტიური ბიზნეს სუბიექტი, რომელთა 91 %-ს მცირე და საშუალო ზომის ბიზნეს სუბიექტები შეადგენენ. აღნიშნული სტრუქტურული გადანაწილება მიუთითებს სწორ ეკონომიკურ მოდელზე, სადაც ძირითადი მოქმედი აქტორები SMEs სექტორის წარმომადგენლები არიან.

2012 წელთან შედარებით, ბიზნეს სექტორის ბრუნვა 453 %-ით გაიზარდა და 2024 წლის მდგომარეობით 13.1 მილიარდ ლარს შეადგენს. ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება 2012 წელთან შედარებით გაიზარდა 5-ჯერ და 2024 წელს 7,6 მილიარდი ლარი შეადგინა. 2012-2024 წლების განმავლობაში ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლების საშუალო წლიური ზრდა შემდგენაირად განაწილდა: ბრუნვის კომპონენტი - 17 %, პროდუქციის გამოშვება - 17 %, დასაქმებულთა რაოდენობა - 6%, დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება - 11 %, შექმნილი დამატებული ღირებულება - 18 %.

ბიზნეს სექტორის 2025 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებით, ბრუნვის მაჩვენებელმა 3.6 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 10 %-ით აღემატება, პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელმა 2,2 მილიარდი ლარი შეადგინა და ზრდა 18 %-ია, დასაქმება გაზრდილია 13 %-ით, ხოლო საშუალო ხელფასი 13 %-ით.

ბიზნეს სექტორის მნიშვნელოვან ზრდაზე მიუთითებს სექტორში დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობის შესამჩნევი მატებაც, რომელიც **2012 წელთან შედარებით 90 %-ით გაიზარდა და 2024 წლის მდგომარეობით 84 974-მდე დასაქმებულს ითვლის.**

ხელსაყრელი ბიზნეს გარემო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში **იზიდავს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს (FDI), რომელიც 2015-2025 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ 12 %-ით იზრდებოდა. ბოლო 10 წელიწადში ჯამურად 1.3 მილიარდამდე აშშ დოლარის**

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა.

2025 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური ტრანსფერის ფარგლებში დაფინანსდა 303 მილიონი ლარის სხვადასხვა პროექტი:

ქ. ბათუმი: ქ. ბათუმში, იაკობ გოგებაშვილისა და შოთა რუსთაველის ქუჩების რეაბილიტაცია, ვარშანიძისა და ხახულის ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები, ქალაქ ბათუმში, ოპიზრების, ტაოსა და აკაკი შანიძის ქუჩების რეაბილიტაცია (ფრიდონ ხალვაშის გამზირიდან ჭოროხის ქუჩამდე), ქ. ბათუმში, მახვილაურის ქუჩის კეთილმოწყობა, ქ. ბათუმში, ნ. გოგოლის ქუჩის (სერგი მესხის ქუჩის კვეთიდან ნ. გოგოლის და წმინდა დიაკონი სევერიანე აჭარელი აღმსარებლის ქუჩის კვეთამდე) კეთილმოწყობა, ქ. ბათუმში, ფრ. ხალვაშის გამზირი N374-ის მიმდებარედ არსებულ ნაძვნარში სკვერის მოწყობა, ნიკო მუსხელიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია, ე.წ. „შანხაის დასახლებაში" სოციალური სახლის მშენებლობა, ქ. ბათუმში, მწვანე კონცხის ადმინისტრაციულ ერთეულში სასმელი წყლის სისტემების მოწყობა, ქ. ბათუმში, ავგიის ქ. №5, ჩიხი №1-ის მიმდებარედ 2000 კუბ.მ. წყლის რეზერვუარის მშენებლობა და ავგიის ქ. №5, ჩიხი №1-ის მიმდებარედ რეზერვუარამდე მკვებავი მაგისტრალისა და წყლის ქსელის მშენებლობა, მუნიციპალური ავტობუსების შეძენის თანადაფინანსება და სხვა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი: ქალაქ ქობულეთში, ახალი სანაპირო ზოლის (ზღვისპირა პარკი) მოწყობა (I ეტაპი), ქ. ქობულეთში, ეკო-პლაჟის სკვერის მოწყობა, ქ. ქობულეთში, პოპოვის ქუჩა N12 მრავალბინიანი სოციალური სახლების მშენებლობა, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარაში საბავშვო ბაღის მშენებლობა, მუნიციპალიტეტის გზებზე ბეტონის საფარის მოწყობა და სხვა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი: სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელ სახლებთან ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობა, სოციალური სახლების მშენებლობა, სოფელ განთიადში საბავშვო ბაღის, ადმინისტრაციული შენობისა და სამუსიკო სკოლის მშენებლობა, სოფელ ერგეში საბავშვო ბაღისა და ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა, შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში დაზიანებული ხიდების მოწყობა და სხვა.

ქედის მუნიციპალიტეტი: შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია და სხვა.

შუახევის მუნიციპალიტეტი: შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, დაბის კეთილმოწყობა, სოფელ პაპოშვილების (გორის) წყალმომარაგების ქსელის მოწყობა და სხვა.

ხულოს მუნიციპალიტეტი: შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, ფერდსამაგრი სამუშაოები, დაბა ხულოში ტბელ აბუსერიძის ქუჩაზე მდებარე სკვერების რეაბილიტაცია, სოფელ წაბლანაში საბავშვო ბაღის მშენებლობა, სოფელ აგარაში საბავშვო ბაღის მშენებლობა, სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია და სხვა.

ტურიზმის განვითარება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ტურიზმს უკავია. შესაბამისად, მისი მდგრადი განვითარება, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და პოტენციალის სრულად ათვისება რეგიონისათვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ტურიზმის განვითარების გრძელვადიანი ხედვა ეფუძნება ტურისტული პოტენციალის დივერსიფიკაციასა და წელიწადის ოთხივე სეზონზე მისი ტურისტული მიმზიდველობის უზრუნველყოფას, რაც გულისხმობს ტურიზმისა და კურორტების სფეროში ეფექტური პოლიტიკის გატარებას, ტურისტული პროდუქტების გამრავალფეროვნებასა და რეგიონის ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო და შიდა ბაზრებზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ოთხივე სეზონზე მიმზიდველ ტურისტულ მიმართულებად ჩამოყალიბებას წარმატებით აგრძელებს. ტურიზმის დინამიკა მუდმივად მზარდია. 2025 წელს შიდა და უცხოელი ვიზიტების რაოდენობა 2024 წელთან შედარებით + 3.4 %-ით გაიზარდა და 4.8 მლნ ვიზიტი შეადგინა. 2025 წელს, საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავლებმა მილიარდ 800 მილიონ დოლარს გადააჭარბა. მნიშვნელოვნად გაზრდილია ბათუმის მიმართულებით საერთაშორისო ფრენები. 2025 წლის მონაცემით, ბათუმის აეროპორტში განხორციელდა 5 175 საერთაშორისო ფრენა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია + 33 %-ით.

ვიზიტების ზრდით გამოირჩეოდა მთიანი აჭარის ტურისტული მარშრუტებიც. ტურისტული საინფორმაციო ცენტრების მონაცემებზე დაყრდნობით, მთიანი აჭარის მარშრუტებზე ვიზიტების რაოდენობა 2025 წელს გაზრდილია +11,75 % -ით, რაც 471,822 ვიზიტს გულისხმობს.

ვიზიტების რაოდენობა გაზრდილია 2026 წლის პირველი კვარტლის მონაცემებითაც. იანვარ-მარტის მონაცემებით, ვიზიტების რაოდენობა წინა წლის მონაცემებთან შედარებით +11 %-ითაა გაზრდილი და ის 796, 259 შეადგენს.

აქტიურად მიმდინარეობს 2026 წლის ზაფხულის ტურისტული სეზონისათვის მზადება. მიუხედავად მიმდინარე წელს არსებული გლობალური გამოწვევებისა 2026 წლის ზაფხულის ტურისტული სეზონისათვის პოზიტიური მოლოდინებია. აქტიურად მიმდინარეობს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია და მარკეტინგული ღონისძიებები 25 - ზე მეტ ქვეყანაში. ასევე, სხვადასხვა უწყებასთან ერთად იგეგმება და

ხორციელდება პროექტები, რომელიც ხელს უწყობს ტურისტული პროდუქტების განვითარებას და სერვისების გაუმჯობესებას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა თავისი ზღვისპირა კურორტებითა და მთებით მიმდინარე ზაფხულის ტურისტულ სეზონს შეხვდება განახლებული ტურისტული პროდუქტებით, სერვისებითა და დატვირთული ღონისძიებების კალენდარით.

ტურიზმის განვითარების მთავარ სტრატეგიას წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცნობადობის გაზრდა, როგორც მოწინავე, ყველა სეზონის მაღალი ხარისხის ტურისტული მიმართულებისა, რომელიც გამორჩეულია თავისი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობით, მსოფლიო დონის მომსახურებითა და სტუმართმასპინძლობის უძველესი ტრადიციებით.

საერთაშორისო აღიარებები და ცნობადობა

2025 წელს ქ. ბათუმმა World Travel Awards-ზე კიდევ ერთი პრესტიჟული ჯილდო მოიპოვა და ევროპის ოთხი სეზონის ტურისტულ მიმართულებად დასახელდა. 2019 წლიდან დღემდე, World Travel Awards-ის პრესტიჟული ჯილდო ქ. ბათუმმა ჯამში 7-ჯერ მოიპოვა. თავდაპირველად, როგორც ევროპის, ხოლო მოგვიანებით, როგორც მსოფლიოს სწრაფად მზარდმა ტურისტულმა მიმართულებამ. 2023-2024 წლებში კი ქ. ბათუმი, აჭარა ევროპის ოთხი სეზონის ტურისტულ მიმართულებად დასახელდა.

ესპანურმა Forbes-მა ბათუმი 2026 წლის სასურველ სამოგზაურო მიმართულებებს შორის დაასახელა. პრესტიჟულმა გამოცემამ მილიონობით მკითხველს გაუზიარა 2026 წელს სამოგზაურო ტურისტული ადგილების ჩამონათვალი, სადაც მადრიდის, მაიამის, ავტრიის, აბუ-დაბის, ახალი ზელანდიის, ანდალუზიისა და სხვა საინტერესო ტურისტულ მიმართულებას შორისაა ბათუმი. ევროპის ყველაზე სასურველი სამოგზაურო ქალაქების ნომინაციაში დაასახელა ბათუმი ბრიტანულმა სამოგზაურო პლატფორმამაც „Wanderlust". გავლენიანმა სამოგზაურო პლატფორმამ European Best Destinations-მა კი კურორტი გოდერძი ევროპის საუკეთესო თოვლიან, სათხილამურო მიმართულებად დაასახელა. 12 საუკეთესო მიმართულებას შორის, საქართველოს კურორტთან ერთად საფრანგეთის, იტალიის, შვეიცარიისა და ავსტრიის სამთო-სათხილამურო მიმართულები მოხვდნენ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოპულარიზაცია და მარკეტინგი საერთაშორისო ბაზრებზე

აქტიურად მიმდინარეობს რეგიონის ცნობადობის გაზრდა და ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაცია 25-ზე მეტ სამიზნე ქვეყანაში. იგეგმება მარკეტინგული კამპანიები და სამიზნე ქვეყნებში ტარდება ტურისტული შესაძლებლობების საპოპულარიზაციო ღონისძიებები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა წარმოდგენილია ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურისტულ პლატფორმასა და ღონისძიებაზე.

WizzAir: კომპანია ,,WizzAir" ახორციელებს ფრენებს მსოფლიოს 51 ქვეყნის 190-ზე მეტ ქალაქში და 2004 წლიდან დღემდე მოემსახურა 200 მილიონზე მეტ მგზავრს. აღნიშნული ავიაკომპანიის საჰაერო ხომალდების ბორტზე ვრცელდება ჟურნალი ,,Wizz", რომელიც ორ თვეში ერთხელ გამოიცემა და თითოეულ გამოცემას 10 მილიონზე მეტი მგზავრი ეცნობა. მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში „ვიზეარის" აპრილი/მაისის, ივნისი/ივლისის, აგვისტო/სექტემბრისა გამოცემებში განთავსდა ინფორმაცია ბათუმის და აჭარის რეგიონის მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტებისა და აუცილებლად სანახავი ტურისტული ღირსშესანიშნაობების შესახებ.

WANDERLUST: ,,Wanderlust" არის ბრიტანული ტურისტული, მაღალრეიტინგული ონლაინ და ბეჭდური გამოცემა, რომელიც დაარსდა 1993 წელს. ის ყურადღებას ამახვილებს სათავგადასავლო და კულტურულ მოგზაურობაზე, რომელშიც მოცემულია სტატიები დანიშნულების ადგილის, ველური ბუნების, აქტივობებისა და მოგზაურობის გამოცდილების შესახებ მთელს მსოფლიოში. WANDERLUST-მა, რომელსაც თვეში 1.6 მილიონზე მეტი მკითხველი ჰყავს, ბათუმზე სტატია გამოაქვეყნა და ბათუმი თავისი ყოველწლიური ნომინაციების სიაში (MOST DESIRABLE CITY (EUROPE) დაასახელა. კურორტ „გოდერძის" საიმიჯო ფოტოთი დაიბრენდა დეკემბერ-იანვრის ჟურნალის ყდაც.

NATIONAL GEOGRAPHIC TRAVELLER UK: სარეკლამო სტატია განთავსდა ბრიტანული სამოგზაურო გამომცემლობის National Geographic Traveller UK-ის https://www.natgeotraveller.magazine.co.uk ვებ.გვერდზე. აღნიშნული გამოცემა არის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და გავლენიანი სამოგზაურო გამოცემა ბრიტანეთში, რომლის სტატიებსაც ყოველთვიურად მილიონობით მკითხველი ეცნობა.

WIRED FOR ADVENTURE: სარეკლამო სტატია განთავსდა ბრიტანული სამოგზაურო გამომცემლობის Wired for Adventure-ის ბეჭდურ გამოცემაში და ასევე ონლაინ პლატფორმაზე https://www.wiredforadventure.com/-ზე. ჟურნალის გარეკანზე ასევე გამოქვეყნდა კურორტ „გოდერძის" ულამაზესი ფოტო. გარდა ამისა, საინტერესო ფოტოპოსტები განთავსდა, ბათუმის ოთხი სეზონის ტურისტული მიმართულებების შესახებ, ჟურნალის Facebook, Instagram-მ და Threads-ის ოფიციალურ გვერდებზე. ,,Wired for adventure" ბრიტანული სათავგადასავლო, ტურისტული ჟურნალია, რომელშიც თავმოყრილია სათავგადასავლო ისტორიები და ადგილები, პრაქტიკული რჩევები ჰაიკინგის, ველოსიპედით მოგზაურობის, ლაშქრობისა თუ სხვა აქტიური დასვენების სახეობებისათვის საჭირო აღჭურვილობისა და დანიშნულების ადგილების შესახებ.

BIRDWATCH: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფრინველებზე დაკვირვების ტურისტული პროდუქტის პოტენციალის შესახებ საინფორმაციო-სარეკლამო სტატია განთავსდა ონლაინ პორტალზე „Global Birdfair" გამოფენის ჟურნალის ბეჭდურ გამოცემაში.
GULF NEWS: ბათუმის საიმიჯო ფოტო ბანერი განთავსდა არაბთა გაერთიანებული

საემიროების Gulf News-ის გამოცემის ბეჭდურ გამოცემაში და ასევე ონლაინ პლატფორმაზე gulfnews.com.

ARABIAN TRAVEL MARKET-ის ბეჭდურ გამოცემაში ATM Dubai YEARBOOK 2025-ში განთავსდა ბათუმის ორგვერდიანი სარეკლამო მასალა.
ITB BERLIN-ის ოფიციალურ გამოცემაში **ITB Global Travel Collection 2026-**ის ერთჯერადი გამოცემის შიდა ყდის პოზიციაზე განთავსდა ბათუმისა და აჭარის რეგიონის ორგვერდიანი რეკლამა.

მიმდინარეობს მარკეტინგული კამპანია **ჩინურ სოციალურ მედიის** პლატფორმებზე, როგორიცაა **WeChat, Weibo, RED/XiaoHongShu და Doyin**. კამპანიის ფარგლებში პლატფორმებზე თავსდება ინფორმაცია ბათუმისა და საქართველოს ისტორიის, კულტურის, ტრადიციებისა და ტურისტული პოტენციალის შესახებ.

მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნის სიახლეებსა და ტურისტულ პორტალებზე მუდმივად ვრცელდებოდა ინფორმაცია ბათუმის და აჭარის, როგორც მრავალფეროვანი ტურისტული მიმართულების შესახებ.

სპორტული ტურიზმის პოპულარიზაცია

სპორტული ტურიზმის პოპულარიზაცია და ბათუმის, როგორც სპორტული ღონისძიებების ჩატარების ადგილის მარკეტინგი ტურიზმის დეპარტამენტისათვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. მომზადდა და დაიბეჭდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, როგორს საქმიანი და სპორტული ტურიზმის საპოპულარიზაციო საპრომოციო მასალა. ასევე, ტურიზმის დეპარტამენტი სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიების ფარგლებში ახდენს ბათუმის, როგორც სპორტული ქალაქის პოპულარიზაციას. ბათუმის ლოგოებით იბრენდება მოთამაშეების ფორმები, სტადიონები და პრეს-ბანერები. ასევე გადის საიმიჯო ვიდეორგოლები თამაშების დროს სტადიონებსა და ტელევიზიებში.

2025 წლის 25-29 ივნისის პერიოდში, აჭარის კრივის ფედერაციის ორგანიზებით ქ. ბათუმში გამართულ კრივის საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა სხვადასხვა ქვეყანაში, ხუთი დღის განმავლობაში განხორციელდა აჭარის ტურისტული პროდუქტების საპოპულარიზაციო-სარეკლამო კამპანია.

საქართველოს რაგბის ნაკრების ნოემბრის ტესტ-მატჩების ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე ამერიკის შეერთბული შტატების, კანადისა და იაპონიის რაგბის ნაკრებებთან განხორციელდა ბათუმისა და აჭარის სარეკლამო კამპანია.

საერთაშორისო მედიატურები

მედია ტურები: აქტიურად მიმდინარეობს შეხვედრები და იგეგმება მედია-ტურები. მედია-ტურების ფარგლებში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას სტუმრობენ ცნობილი

ბლოგერები, წამყვანი მედიისა და პრესის წარმომადგნელები. საერთაშორისო მედია ტურების ფარგლებში აჭარის ტურისტულ პროდუქტებს წლის განმავლობაში 350-ზე მეტი უცხოელი ინლუენსერი, ჟურნალისტი და ტურისტული სააგენტოს წარმომადგენელი სტუმრობს და აშუქებს ჩვენ რეგიონს.

საერთაშორისო ღონისძიებები და გამოფენები

საერთაშორისო პლატფორმები და გამოფენები: აჭარის რეგიონი წარმოდგენილია მსოფლიოს მასშტაბით ყველა მნიშვნელოვან ტურისტულ ღონისძიებაზე და ახდენს აქტიურად რეგიონის ტურისტული პოტენციალის პრეზენტაციას. აჭარის რეგიონი წარმოდგენელი იყო 38 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე როგორც ევროპაში, ისე აზიასა და მეზობელ ქვეყნებში (ა.შ.შ, ნიუ იორკი - New York Travel and Adventure Show, ესპანეთი, მადრიდი - ,,FITUR''; ფინეთი, ჰელსინკი - „MATKA EXPO" ; ლიეტუვა, ვილნიუსი - ,,ADVENTURE''; ლატვია, რიგა - „BALTTOUR", ესტონეთი, ტალინი - „TOUREST", იტალია, მილანი - „BIT 2023"; დანია, ჰერნინგი - „Danish Travel Show; უნგრეთი, ბუდაპეშტი - „Travel"; პოლონეთი, ვროცლავი - „MTT WROCLAW"; გერმანია, ბერლინი - „ITB"; ჩეხეთი, პრაღა - „HOLIDAY WORLD & REGION WORLD".; ყაზახეთი, ალმაათი - „KITF"; თურქეთი, სტამბოლი - „EMIT"; არაბთა გაერთიანებული საამიროები, დუბაი - „ATM"; საქართველო, ბათუმი - „EBIT 2023"; გერმანია, ფრანკფურტი - „IMEX"; საფრანგეთი, პარიზი - „IFTM TOP RESA; ესპანეთი, ბარსელონა - „IBTM"; პოლონეთი, ვარშავა - „WTS", საბერძნეთი, თესალონიკი - „Philoxenia – Hotelia", უზბეკეთი, ტაშკენტი - „TITF Tashkent", დიდი ბრიტანეთი, ლონდონი - „WTM London", სამხრეთ კორეა, სეული -„ SEOUL INTERNATIONAL TRAVEL FAIR", ჩინეთი, შანჰაი -„ITB CHINA", ,ნიდერლანდები, უტრეხტი - „Vakantiebeurs 2026".

აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში ხდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრეზენტაცია და იმართება შეხვედრები.

ტურისტული სერვისების განვითარების ხელშეწყობა

გრძელდება მუშაობა სერვისების გაუმჯობესებაზე. მთელი წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა საინფორმაციო შეხვედრები, ტრენინგები, მასტერკლასები და პრაქტიკული მეცადინეობები სექტორის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლისათვის, მათ შორის გიდებისათვის, სააგენტოებისათვის, განთავსებისა და კვების ობიექტებისათვის. სერვისის გაუმჯობესების მიზნით წლიურად ტურისტული სექტორის 500-ზე მეტი წარმომადგენლის გადამზადება ხდება.

აქტიურად მიმდინარეობს აჭარის სავიზიტო ბარათის - ბათუმის ბულვარის განვითარება:
დასრულდა ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ველობილიკის 6,000 გრძივი მეტრის რეაბილიტაცია; მასშტაბური სარეკონსტრუქციო სამუშაოები მოიცავს ძველი ბულვარიდან

ახალ ბულვარში არსებულ საველოსიპედე ბილიკზე, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მონოლითური რკინა-ბეტონის საფარის მოწყობას და მარკირებას.

დასასვენებელი სივრცე ძველ ბულვარში, კოლონადას მიმდებარედ, 2000 კვ.მეტრ ფართობზე მოეწყო. პროექტის ფარგლებში, განთავსდა საბაღე ინფრასტრუქტურა, მოეწყო საფეხმავლო ბილიკები, ბორდიურები, დეკორატიული ქვიშის ორნამენტული საფარი და დამონტაჟდა გარე განათების სისტემა. კაპიტალური რეკონსტრუქცია ჩაუტარდა უკრაინელი საზოგადო მოღვაწეების ბიუსტებს, მარმარილოს ქვით მოპირკეთდა პედესტალები. სკვერის ტერიტორია ახალი მწვანე ნარგავებით შეივსო.

დასრულდა ბათუმის ბულვარის ისტორიული კოლონადების რესტავრაცია; პროექტი მოიცავდა მთლიანი კოლონადის ზედაპირისა და დეკორატიული ელემენტების ისტორიული სახით აღდგენას.

ბულვარში რამდენიმე ლოკაციაზე ფუნქციონირებს ახალი სავარჯიშო სივრცე. ფიტნეს ზონაში ახალი ტიპის, სხვადასხვა დატვირთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და შშმ პირებზე ადაპტირებული ინვენტარი დამონტაჟდა, რომლითაც სარგებლობენ როგორც მოყვარულები, ასევე პროფესიონალი სპორტსმენები.

საჯარო სერვისების ხარისხის გაუმჯობესებისა და გამართული ტურისტული ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის მიზნით, დაგეგმილია სანაპირო ზოლის აღჭურვა მაღალი ხარისხის გასახდელებით, ზღვაზე ჩასასვლელი ბილიკებითა და თანამედროვე სტანდარტების საშხაპეებით.

სანაპირო ზოლზე განთავსდა ადაპტირებული ბილიკები და წყლის შადრევნები, განახლდა ადაპტირებული ინფრასტრუქტურა შშმ პირთათვის. ახალი ბულვარის ტერიტორიზე აშენდა ქვიშის ფეხბურთის ახალი სტადიონი. ახალ ბულვარში მოეწყო კალათბურთის მოედანი. დასრულდა ახალი საერთაშორისო სტანდარტების სკეიტ და როლერ პარკის მშენებლობა, რომელიც ახალი ბულვარის ტერიტორიაზე 4,800 კვ.მეტრ ფართობზე განთავსდა. ახალი სპორტული ინფრასტრუქტურა ინტეგრირებულია არსებულ მწვანე საფართან.

2025-2028 წლებში ბულვარის მოვლა-შენახვისათვის 61,5 მილიონი ლარი დაიხარჯება:

დაირგვება ნახევარ მილიონზე მეტი ერთწლიანი ყვავილი და 2000-ზე მეტი ხე-მცენარე;

განახლდება ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე არსებული სავარჯიშო მოედნები, საბავშვო მოედნები, მწვანე სივრცეები და საბაღე ინფრასტრუქტურა.

არსებული პროგნოზით, 2028 წლისთვის ქ. ბათუმის ბულვარის ახალი და განახლებული ინფრასტრუქტურა, სარეკრეაციო სივრცეები და სხვადასხვა სახის გასართობი ობიექტები ბულვარის ვიზიტორთა რაოდენობის 40-50%-ით ზრდას განაპირობებს.

ბულვარის ცენტრალურ შესასვლელში ე.წ. ქორწინების სახლის ადგილას მოწყობა ახალი შადრევნის.

პირსის კეთილმოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში, ტერიტორია მოპირკეთდება ახალი ფილებით, განახლდება არსებული მოაჯირები და განთავსდება მოსასვენებელი სკამები. ასევე, მოეწყობა თანამედროვე განათების სისტემა, რაც სივრცეს უფრო კომფორტულსა და უსაფრთხოს გახდის.

ძველ ბულვარში არსებულ კაფე-ბარ „ტყუპების" ადგილზე, განხორციელდება ახალი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სივრცის სრულად კეთილმოწყობას.

პროექტის ფარგლებში:

- მოეწყობა შადრევანი დელფინების სკულპტურებით;
- განთავსდება დეკორატიული სკულპტურული არკა განათებითა და წარწერით - „ბათუმი";
- მოეწყობა წყლის სარკეები და მასზე განთავსებული მოსასვენებელი სივრცე ვიზიტორებისათვის;
- მოეწყობა კიბეები და ასევე პანდუსი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთათვის;
- დაიგება ახალი ფილები და არსებული სივრცე მიიღებს განახლებულ იერსახეს.

ბათუმის ბულვარში იერსახის გაუმჯობესებისა და მოწესრიგებული დასასვენებელი გარემოს შექმნის მიზნით, განხორციელდა უსახური და უნებართვო ობიექტების დემონტაჟი. დემონტაჟი ჩაუტარდა: 70-მდე მცირე სამეწარმეო ობიექტს, 20-მდე გასართობ და კვების ობიექტს, ე.წ. 4 „ბრენდირებულ სანაპიროს" და ცენტრალურ შესასვლელში არსებულ ქორწინების სახლს.

ახალ ბულვარში, უნებართვო და დაზიანებული საბავშვო ატრაქციონების დემონტაჟის პროცესი მიმდინარეობს.

2026 წლის პირველი იანვრიდან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით, ბათუმის ბულვარში ელექტრომობილებით გადაადგილება სრულად აიკრძალა. ბულვარის ადმინისტრაციამ ტერიტორიიდან უკვე გაიტანა თვითნებურად განთავსებული ელექტროსკუტერები და ელექტრომობილები.

ინფრასტრუქტურა

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტული

მიმართულებაა. 2018 წელს ბათუმს ევროპის სპორტული ქალაქის სტატუსი მიენიჭა. **რეგიონში სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის უკვე დაიხარჯა დაახლოებით 260 მილიონი ლარი.** აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განხორციელებული მსხვილი სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტებია:

- 20 000 მაყურებელზე გათვლილი, უეფას მე-4 კატეგორიის სტანდარტების **ბათუმი საფეხბურთო სტადიონი** („აჭარაბეთარენა"), რომელმაც 2023 წელს, 21 წლამდე ნაკრებთა ევროპის ჩემპიონატის ფინალს უმასპინძლა. სტადიონმა FIABCI World Prix d'Excellence Awards უძრავი ქონების ოსკარი მოიპოვა;
- **ბათუმის სპორტული კომპლექსი,** რომელიც 3400 მაყურებელზეა გათვლილი და 12 სხვადასხვა სპორტულ სახეობას აერთიანებს;
- ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაცია ფიფა-ს სტანდარტების, 500 მაყურებელზე გათვლილი **შუახევის საფეხბურთო მოედანი;**
- **ჩაქვის ძალოსნობის ბაზა,** რომელიც მოიცავს 180 მაყურებელზე გათვლილ საშეჯიბრო და სავარჯიშო დარბაზებს, საოფისე, მოსასვენებელ სივრცეებს, ასევე საკონფერენციო დარბაზს. შენობა სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირებისათვის.
- **ღორჯომის სპორტული დარბაზი**, 120 მაყურებელზე გათვლილი სავარჯიშო და საშეჯიბრებო დარბაზებით, მოსასვენებელი სივრცით. შენობა სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირებისათვის.
- ბათუმში საერთაშორისო სტანდარტების, 1500 მაყურებელზე გათვლილი ყინულის არენის მშენებლობა დასრულდა. დამონტაჟადა სპორტული განათებისა და გახმოვანების სისტემები. სპორტულ ობიექტში ფუნქციონირებს საკონფერენციო და ქორეოგრაფიული დარბაზები, მწვრთნელთა და მსაჯთა ოთახები, გასახდელები და სველი წერტილები. ყინულის არენამ 2025 წლის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიადას უმასპინძლა.

2026-2029 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში **სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დაახლოებით 200 მილიონ ლარამდე დაიხარჯება:**

- ბათუმს ახალი, საერთაშორისო ოლიმპიური სტანდარტების **საცურაო აუზი ექნება,** ყველა საჭირო ინფრასტრუქტურით და საინჟინრო სისტემებით;
- **დაგეგმილია ქობულეთის სპორტული კომპლექსის მშენებლობა** - პროექტს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს;
- **ჩაქვის ხელოვნურსაფარიანი რაგბის მოედანი** - პროექტი ითვალისწინებს დაბა

ჩაქვში რაგბის სპორტული მოედნის მოწყობას, ერთსართულიანი შენობა-ნაგებობით, გასახდელებითა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურით;

- **ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსის რეაბილიტაცია** - პროექტით გათვალისწინებულია ხუთი ღია კორტის სრული რეაბილიტაცია: კორტების საფარის ტიპის შეცვლა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; განათების სისტემისა და კორტის სხვა ინვენტარის მოწყობა; არსებული სასტუმროსა და დამხმარე შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და მის ნაცვლად ახალი ორსართულიანი შენობა-ნაგებობის აშენება;
- **ხელვაჩაურის სპორტული სკოლა და საფეხბურთო სტადიონი** - პროექტი ითვალისწინებს 300 მაყურებელზე გათვლილ სპორტული კომპლექსის მოწყობას, რომელშიც განთავსდება: მინი მოედანი (ფეხბურთის, კალათბურთის, ხელბურთის); 1 შიდა დარბაზი ჭიდაობისათვის; 1 შიდა დარბაზი ძალოსნობისა და ძიუდოსათვის; ასევე 80 კვ.მეტრი სატრენაჟორო დარბაზი;
- **ქობულეთისა და შუახევის მუნიციპალიტეტებში ხელოვნურსაფარიანი რაგბის მოედნები** ყველა საჭირო ინფრასტრუქტურით;
- **ქედის სპორტული სკოლა და „საფეხბურთო კლუბ ბეთლემის" სათამაშო მოედნის რეაბილიტაცია** - უნივერსალური სპორტული კომპლექსის მშენებლობა, რომელშიც განთავსდება 300 მაყურებელზე გათვლილი მინი მოედანი (ფეხბურთის, კალათბურთის, ხელბურთის), 2 შიდა დარბაზი ჭიდაობისა და ძალოსნობისათვის. 100 კვ.მეტრი სატრენაჟორო დარბაზი. პროექტი ასევე მოიცავს არანაკლებ 500 მაყურებელზე გათვლილ FIFA-ს სტანდარტის ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობას და სტადიონისათვის განკუთვნილი ორსართულიანი შენობის მშენებლობას;
- **ბათუმის თანამედროვე სტანდარტების ჭადრაკის სასახლე** - რომელშიც განთავსდება ორი სატურნირო დარბაზი (თითოეული 600 კვ.მ) ჭადრაკის ფიგურების ვიზუალის მქონე კოლონები, ადმინისტრაციული ოთახები, საკონფერენციო ოთახი 20 მონაწილეზე, სპორტული მაღაზია, სპორტულ-ლიტერატურული სივრცე საჭადრაკო ბიბლიოთეკითა და საგამოფენო სივრცით, კვების ობიექტი, გარდერობი - 600 პერსონაზე, 15 სასტუმრო ნომერი, სატრენაჟორო დარბაზი და ზამთრის ბაღი. ასევე განხორციელდება შენობის ირგვლივ მიმდებარე ფართის კეთილმოწყობა;
- **ხულოს თანამედროვე სტანდარტების სპორტული სკოლა და საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაცია** - პროექტი ითვალისწინებს ამორტიზებული სპორტსკოლის დემონტაჟს და მის ადგილზე ახალი, თანამედროვე სტანდარტების სასპორტო სკოლის მშენებლობას, რომელშიც განთავსდება: მაგიდის ჩოგბურთის დარბაზი, სავარჯიშო დარბაზი, ჭადრაკის დარბაზი, ადმინისტრაციისა და მწვრთნელების ოთახები, სატრენაჟორო დარბაზი და საჭიდაო დარბაზი. პროექტი ასევე მოიცავს არანაკლებ 450 მაყურებელზე გათვლილ FIFA-ს სტანდარტის

ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობას.

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

- 2005-2012 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ სულ რეაბილიტირებული იყო 230.8 კმ გზა (222 კმ. ასფალტ-ბეტონის ს/გზა და 8.3 კმ ბეტონის გზა), **2013 წლიდან 2025 წლის ჩათვლით კი საერთო ჯამში 7-ჯერ მეტი - 1,675 კმ სიგრძის გზის რეაბილიტაცია განხორციელდა** (749,5 კმ ასფალტ-ბეტონის ს/გზა და 925,5 კმ ბეტონის გზა).

2025 წლის იანვრიდან 2026 წლის მაისის ჩათვლით, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის ჯამში დაიხარჯა 52 207 292 ლარი:

- რეაბილიტაცია ჩაუტარდა 11 საავტომობილო გზას;
- 22 კილომეტრზე მოეწყო ასფალტ-ბეტონის საფარი;
- აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 10 ხიდს;
- დასრულდა 77 საყრდენი კედლისა და დამცავი ნაგებობის მშენებლობა;
- მოეწყო 55 კილომეტრი სიგრძის საავტომობილო გზაზე ბეტონის საფარი.

მოვლა-შენახვის ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- 663 მეტრ მონაკვეთზე მოეწყო წყალგამტარი მილები;
- 9505 კვ.მეტრ მონაკვეთზე ასფალტ-ბეტონის ორმული შეკეთება;
- 254 კმ მონაკვეთი საავტომობილო გზა მოიხრეშა;
- 161 კმ მონაკვეთი საავტომობილო გზა მოშანდაგდა;
- 473 კმ საავტომობილო გზა თოვლის საფარისაგან გაიწმინდა.

- 2026 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დაგეგმილია 46 მიმართულებით გზის მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელება. მიმდინარე წელს გათვალისწინებულია ჯამში 56 კმ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნული გზების რეაბილიტაციის შედეგად მოსახლეობას და ტურისტულ ნაკადებს მიეცემათ უსაფრთხოდ და კომფორტულად გადაადგილების საშუალება. დღეის მდგომარეობით 10 გზის მშენებლობა უკვე მიმდინარეობს (32.37კმ), ობიექტების ნაწილზე კი მიმდინარეობს პროექტირებისა და სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე პროცედურები. აგრეთვე, ხუთ მუნიციპალიტეტში იგეგმება 60 კმ ბეტონის გზის მოწყობა.

- **დასრულდა გონიოსა და მახოს ხიდების დამაკავშირებელი ახალი საავტომობილო გზის მშენებლობა-რეაბილიტაცია.** აღნიშნულმა გზამ განტვირთა ფრიდონ ხალვაშის გამზირი და ამ ეტაპისათვის მოქალაქეების უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას შეუწყო ხელი. აღნიშნული გზა არის ალტერნატივა

„ბათუმი(ანგისა)-ახალციხე“ შიდასახელმწიფოებრივი გზის ფრიდონ ხალვაშის გამზირის მონაკვეთის, რომელიც უკავშირდება მაღალმთიანი აჭარის სამ მუნიციპალიტეტს, არაერთ საკურორტო ადგილს და წარმოადგენს რეგიონის ეკონომიკური განვითარების საერთო სისტემის მნიშვნელოვან რგოლს;

- დღეის მდგომარეობით ქობულეთის მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს და დასრულდება 2025 წელს დაწყებული 2 გზის (3.25 კმ) სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამჟამად კი მიმდინარეობს 7 კმ-მდე 5 გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე პროცედურები. აღნიშნული გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად გაუმჯობესდება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ–ეკონომიკური პირობები;

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 6 გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე მიმდინარეობს სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე პროცედურები, რომლის დასრულების შემდეგ აქტიურად დაიწყება სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, შედეგად უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება, როგორც ტრანსპორტისათვის, ისე ფეხით მოსიარულეთათვის;

- ქედის მუნიციპალიტეტში 2025 წელს დაიწყო და მიმდინარე წელს დასრულდება ქედა-მერისი-ნამონასტრევი მიმართულებით 3.3 კმ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

- დასრულდა ხიჭაური-ნაღვარევის 4.5 კმ-იანი გზის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ამჟამად მიმდინარეობს **ხიჭაური-ნაღვარევის 5.2 კმ-იანი გზის მშენებლობა.** დასრულდა **შუახევი-ჩირუხის 6.5 კმ-იანი საავტომობილო გზა და მიმდინარე წელს იგეგმება აღნიშნული მიმართულებით 3.8კმ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება. აგრეთვე, გასულ წელს დაიწყო და მიმდინარე წელს დასრულდება წაბლანა-ღომას 4კმ-იანი** გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

- ტურისტულად მნიშვნელოვანი დანისპარაული-მწვანე ტბის მიმართულებით 6.2 კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წელს დასრულდება. მიმდინარე წელს დაგეგმილია ღორჯომი-ბახმაროს საცხენოსნო კლუბისკენ მიმავალი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა. ასევე, იგეგმება კურორტ გოდერძთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. აღნიშნული მიმართულებებით გზების მშენებლობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტურისტული ნაკადების ზრდას და ტურისტთა უსაფრთხო გადაადგილებას. გარდა ამისა, გაუმჯობესდება კავშირი ცენტრალურ მაგისტრალებთან, რაც აადვილებს სოციალურ და სამედიცინო მომსახურებებზე წვდომას.

აქტიურად გრძელდება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის **ხულო-ზარზმის საავტომობილო გზის მონაკვეთის რეკონსტრუქცია. ჯამში რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია 47 კილომეტრიან გზას უტარდება. აღნიშნული გზის მშენებლობა დასრულების ფაზაშია, მიმდინარეობს მეწყრული პროცესების სალიკვიდაციო სამუშაოები აღნიშნული გზის დარჩენილ 3 კილომეტრიან მონაკვეთზე, რომლის შემდგომ მოხდება საავტომობილო გზის ასფალტირება.** სამუშაოები 44 კმ-იან მონაკვეთზე დასრულებულია. ხულო-ზარზმის განახლებული გზა უმოკლესი გზით დააკავშირებს ერთმანეთთან სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის რეგიონებს. მისი რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია ხელს შეუწყობს, როგორც ზემო აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ისე ტურიზმის განვითარებას. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაც. ამასთან, განახლებული გზით, ბათუმიდან ახალციხემდე მგზავრობის დრო 1.5 საათით შემცირდება.

ბათუმის ცენტრალურ შემოსასვლელში **ესტაკადის მშენებლობისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 15 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა.** პროექტის ფარგლებში მოასფალტდა ესტაკადის 915 მეტრი სიგრძის მონაკვეთი, მოეწყო და გამწვანდა გამყოფი ზოლი, დამონტაჟდა განათების ბოძების (32 ბოძი), მოეწყო ბორდიურები და სანიაღვრე ქსელები, მოპირკეთდა ტროტუარები და ესტაკადის კედლები. ესტაკადამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბათუმის ცენტრალურ შემოსასვლელში სატრანსპორტო მოძრაობის განტვირთვას.

ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობისათვის 350 მილიონ ლარამდე დაიხარჯა, შედეგად, პროექტის პირველი და მეორე ეტაპების ფარგლებში, ჯამში 32 კმ სიგრძის გზის მშენებლობა განხორციელდა, რითაც 30 წუთით შემცირდა თბილისი ბათუმის მიმართულებით მგზავრობის დრო და ქობულეთის ზღვისპირა ზოლი სრულად განიტვირთა სატრანზიტო მოძრაობისაგან.

გაიხსნა ბათუმის შემოვლითი გზა. პროექტის მთლიანი ღირებულება 330 მილიონ ლარამდეა. ბათუმის შემოვლითი გზის პროექტის ფარგლებში მოეწყო 14 კმ-იანი ორზოლიანი ასფალტ-ბეტონის გზა, აშენდა 20 სახიდე გადასასვლელი და 5 გვირაბი. ბათუმის შემოვლითი გზა გაივლის მახინჯაურის, განთიადის, კაპრეშუმის, სალიბაურის, ფერიის, მახვილაურისა და ხელვაჩაურის მონაკვეთებს და ახალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე, სპეციალური კვანძით დაუკავშირდება **ბათუმი-სარფის ახალ, 11 კმ სიგრძის ჩქაროსნულ მაგისტრალს.** ბათუმი-სარფის ახალი მაგისტრალი ითვალისწინებს მდინარე ჭოროხზე 1.5 კმ სიგრძის ხიდისა და 7.6 კმ სიგრძის გვირაბის მშენებლობას. სწორედ გვირაბით დაუკავშირდება ახალი მაგისტრალი ბათუმი-სარფის არსებულ გზას (ანდრიას ჩანჩქერის მიმდებარედ). პროექტის დასრულების შემდეგ, ბათუმის შემოვლითი გზა (ქობულეთის შემოვლით გზასთან და ბათუმი-სარფის ახალ მაგისტრალთან ერთად) მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სატრანსპორტო ნაკადების გამტარიანობის ზრდას და

სრულად განტვირთავს მოძრაობას აჭარის საკურორტო ზონაში (სარფში შემოსული ტრანსპორტი ისარგებლებს ახალი მაგისტრალით ქ. ბათუმში შესვლის გარეშე), გაზრდის ტვირთბრუნვას და მოახდენს რეგიონის ეკონომიკის სტიმულირებას.

დამატებით, **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2013-2023 წლებში საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და სხვადასხვა სამუშაოებზე 120 მილიონ ლარამდე დაიხარჯა.** დეპარტამენტის მიერ დამატებით 138 მილიონ ლარამდე ღირებულების, საერთო ჯამში 57 კმ სიგრძის გზების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები მიმდინარეობს.

კომუნალური და სამრეწველო ინფრასტრუქტურის განვითარება
მყარი ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში, საქართველოში პირველი, თანამედროვე სტანდარტების ნარჩენების მართვის ობიექტი აშენდა. 2023 წლიდან, პროექტის II ფაზა ხორციელდება, რაც ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი პოლიგონის ექსპლუატაციისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენას; მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მექანიკურ-ბიოლოგიური დამუშავების ტექნოლოგიის (MBT) დანერგვას; გადამტვირთი სადგურის მშენებლობასა და ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის საჭირო აღჭურვილობის შეძენას; ბათუმსა და ქობულეთში კანონმდებლობასთან შეუსაბამო ნაგავსაყრელების დახურვას და რეაბილიტაციას. პროექტის მეორე ფაზის სავარაუდო ბიუჯეტი დაახლოებით 60 მლნ ევროა.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD-ის) წესებით, გამოცხადებულ საერთაშორისო-საკონსულტაციო კომპანიის შესარჩევ ორეტაპიან საერთაშორისო ტენდერში ესპანურმა საერთაშორისო კომპანია „IDOM"-მა გაიმარჯვა, რომელსაც პროექტის მეორე ფაზის იმპლენეტაციის მხარდაჭერა დაევალა. რაც გულისხმობს ნარჩენების მექანიკურ-ბიოლოგიური დამუშავების ობიექტის (MBT), გადამტვირთი სადგურისა და კანონმდებლობასთან შეუსაბამო ნაგავსაყრელების დახურვის დეტალური დიზაინების, ასევე სამშენებლო-სატენდერო დოკუმენტაციების მომზადებასა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელებას.

2025 წლის 18 დეკემბერს, EBRD-ის წესების თანახმად, მექანიკურ-ბიოლოგიური დამუშავების (MBT) ობიექტის მშენებლობის მიზნით, საერთაშორისო ორეტაპიანი ტენდერი გამოცხადდა. ამ დროისათვის, შესაბამისი სატენდერო პროცედურები მიმდინარეობს და გამარჯვებული სამშენებლო კომპანია გამოვლინდება.

MBT-ის ტექნოლოგიის დანერგვა უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დაგროვილი არასახიფათო მუნიციპალური ნარჩენების დამუშავებას. ის ასევე მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სოფელ ცეცხლაურში მდებარე სანიტარული

ნაგავსაყრელის მუშაობის ეფექტურობას და სიცოცხლისუნარიანობას. ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი პოლიგონის მუშაობა, მათი ინტეგრირებულად ექსპლუატაციის მიზნით, ნარჩენების მექანიკურ-ბიოლოგიური დამუშავების ობიექტის მშენებლობის დასრულების შემდეგ დაიწყება.

გარდა ამისა, პროექტის II ფაზის ფარგლებში, საერთაშორისო ტენდერით, უკვე შეძენილია ნაგავსაყრელის ექსპლუატაციისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა.

2026 წელს, ხელვაჩაურის სამრეწველო ზონაში, ნარჩენების შუალედური გადამტვირთი სადგურის მშენებლობის მიზნით ტენდერის გამოცხადება იგეგმება. პროექტი ასევე, ითვალისწინებს ბათუმსა და ქობულეთში მდებარე, კანონმდებლობასთან შეუსაბამო, ნაგავსაყრელების დახურვას და რეაბილიტაციას. კერძოდ, ქობულეთის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია 2 ნაგავსაყრელის და ბათუმის ერთი ნაგავსაყრელის დახურვა. ამ ეტაპზე საკონსულტაციო კომპანიის მიერ დახურვის ღონისძიებების დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია მზადდება. დახურვის ღონისძიებები ნარჩენების მექანიკურ-ბიოლოგიური დამუშავების ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ დაიწყება.

სადაბო და სასოფლო ტერიტორიებზე წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია

გერმანია-საქართველოს შორის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში და ევროკავშირის მხარდაჭერით, აჭარის მუნიციპალიტეტებში თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურა იქმნება.
აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის დასრულების შემდეგ, აჭარის მასშტაბით 39 სოფელი და დაბა (9000 აბონენტი/დაახლოებით 40 000-მდე მოსახლეს მოიცავს) 24 საათიანი უწყვეტი წყალმომარაგებით და გამართული წყალარინების სისტემებით ისარგებლებს. პროექტის ბიუჯეტი 100 მილიონ ევროზე მეტია.

2025 წელს, პროექტის ფარგლებში სამუშაოები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში ეტაპობრივად განხორციელდა, კერძოდ:

ქობულეთის მუნიციპალიტეტი:
სოფლებში ცეცხლაურსა და ჯიხანჯურში დასრულდა წყალმომარაგების ქსელების მოწყობა და ტესტირების პროცესი. ასევე, დასრულდა რეზერვუარი N2-ის ბეტონის სამუშაოები და დაიწყო 400მ³ რეზერვუარი N1-ის მშენებლობა. მიმდინარეობს გამრიცხველიანება და დამხმარე მოწყობილობების მონტაჟი.

დაბა ოჩხამურში დასრულდა წყლის რეზერვუარის მშენებლობა (ბეტონის სამუშაოები) და მიმდინარეობს ტესტირება. ასევე მიმდინარეობს წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელების მოწყობა. ასევე, დაწყებულია წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა.

სოფელ კვირიკეში მიმდინარეობს წყლისა და წყალარინების სისიტემების მოწყობა. მოეწყო

3 ბეტონის სეპტიკური ავზი. ასევე დასრულდა 100 კუბ. მეტრი წყლის რეზერვუარის მშენებლობა (ბეტონის სამუშაოები), მიმდინარეობს სათავე-ნაგებობის მშენებლობა. მე-2 საწნევო არეალში დაიწყებულია 300 კუბ. მეტრი რეზერვუარის მშენებლობა.

სოფელ მუხაესტატეს მეურნეობაში, მიმდინარე წელს, წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელების მოწყობა დაიწყო. უკვე შესრულებულია წყალმომარაგების ქსელების მოწყობის სამუშაოების 80%. საყრდენ კონსტრუქციაზე დამონტაჟდა 30 კუბ. მეტრი მოცულობის რეზერვუარი, ასევე მიმდინარეობს ბეტონის სეპტიკური ავზის მშენებლობა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი:

სოფლებში კირნათსა და კობალეთში დასრულდა 100 კუბ. მეტრი რეზერვუარის მშენებლობა.

სოფელ ზედა ჯოჭოში მიმდინარეობს წყლალმომარაგების სისტემების მოწყობა. ასევე დაწყებულია 200 კუბ. მეტრი და 400 კუბ. მეტრი რეზერვუარების მშენებლობა.

ქედის მუნიციპალიტეტი:

სოფლებში უჩხითში, ქოსოფელში, ვაიოში, აქუცაში, არსენაულში, ნამლისევში, მილისსა და დაბა ქედაში წყალმომარაგების ქსელების მოწყობა მიმდინარეობს. სამუშაოების 80 % უკვე დასრულებულია. პროექტის ფარგლებში სათავე-ნაგებობის მშენებლობა დასრულდა, ხოლო 100 კუბ. მეტრი და 400 კუბ. მეტრი რეზერვუარების და 50 კუბ. მეტრი წყლის სატუმბი სადგურის მშენებლობა მიმდინარეობს.

შუახევის მუნიციპალიტეტი:

სოფელ გომარდულში დასრულდა 100 კუბ. მეტრი რეზერვუარის მშენებლობა (ბეტონის სამუშაოები), ასევე მოეწყო 100 კუბ. მეტრი ბეტონის სეპტიკური ავზი. მიმდინარეობს წყალარინებისა და წყალმომარაგების სისტემების მოწყობა.
სოფლებში ბრილში, წანკალაურში, ღორექეთში, სხეფში, სხეფელაში, ვარჯანაულში ზემოხევში, ჟანივრში, ჭალაში, ბარათაულში, ტბეთსა და დაბა შუახევის წყალმომარაგების ქსელების მოწყობა მიმდინარეობს. პარალელურად დაბა შუახევში მიმდინარეობს წყლისა და წყალარინების ქსელების მოწყობა. ასევე, დასრულდა 50 კუბ. მეტრი რეზერვუარის სამშენებლო სამუშაოები.

ხულოს მუნიციპალიტეტი:

სოფლებში დიოკნისში, ქედლებში, თხილაძირში, დეკანაშვილებში, ოქრუაშვილებში, ქვემო ვაშლოვანში, ძირკვაძეებში, განახლებასა და დაბა ხულოში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა მიმდინარეობს. დასრულდა 200 კუბ. მეტრი რეზერვუარის მშენებლობა. დაბა ხულოში 400 კუბ. მეტრი რეზერვუარისა და წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა მიმდინარეობს. ასევე დაწყებულია ოქრუაშვილები - დუაძეების 100 კუბ.

მეტრი რეზერვუარის მშენებლობა.
სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძიზე წყლის სისტემის მოწყობის პირველი ეტაპის სამუშაოები დასრულდა. აშენდა სათავე-ნაგებობა და მაგისტრალური ქსელები. მიმდინარეობს დამატებით მე-3 წყლის რეზერვუარის (3500 კუბ. მეტრი) და საქლორატორო სადგურის მშენებლობა.

მიმდინარე წელს დაგეგმილია:
ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში - კვირიკესა და მუხაესტატეს მეურნეობაში ქსელის გაშვება, ხელვაჩაური -კირნათი-კობალეთის დასრულება. ქედა - ვაიოში მეორე 50 კუბ. მეტრი რეზერვუარის მშენებლობა, შუახევი - თერნალში 50 კუბ. მეტრი რეზერვუარის მშენებლობა, ხულო - დიოკნისში 100 კუბ. მეტრი რეზერვუარის მშენებლობა, დაბა ხულოში (ბაბანურის) წყლის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა.

2025 წელს წყლისა და წყალარინების თავდაპირველ პროექტს აჭარის 2 სოფელი დაემატა: ქედის მუნიციპალიტეტის სოფელი ნამლისევი და ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს მეურნეობა, ასევე, დაემატა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის შარაბიძეების თემი (ჯერ საპროექტო სამუშაოები არ არის დაწყებული). სოფელ ნამლისევში წყალარინებისა და წყალმომარაგების ახალი სისტემებით დაახლოებით 70, კვირიკეს მეურნეობაში 100-მდე, ხოლო შარაბიძეების თემში 1400 ოჯახი ისარგებლებს.

ე.წ. „ოცნების ქალაქი"

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აქტიურად მიმდინარეობს მასშტაბური სოციალური პროექტი „ოცნების ქალაქი". სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში 3 რვასართულიანი და 6 ცამეტსართულიანი ბინა შენდება - სულ 1077 ერთეული ბინა. შენობების სარეკონსტრუქ-ციო სამუშაოები უკვე დასრულდა. პარალელურად საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოწყობა მიმდინარეობს (სანტექნიკა, კედლების გადატიხვრა, კედლების შელესვა).

პროექტის მეორე ეტაპი მთლიანი ტერიტორიის სწორ ურბანულ განვითარებას, საგანმანათლებლო, საცხოვრებელი და რეკრეაციული სივრცეების შექმნას გულისხმობს. „ოცნების ქალაქში" საჯარო სკოლა და საბავშვო ბაღი აშენდება. მეორე ეტაპის ფარგლებში ტერიტორიაზე ასევე საპარკინგე ზონა, საბავშვო მოედანი, საფეხმავლო და ველობილიკები და გარე განათებები მოეწყობა. საცხოვრებელი სახლები გაზმომარაგების, წყლისა და წყალარინების სისტემებით აღიჭურვება. მოქალაქეებს ადგილზე, ასევე, სხვადასხვა სერვისზე წვდომის შესაძლებლობა ექნებათ. ხელშეკრულების მიხედვით მშენებლობის ღირებულება 132 580 552 ლარს შეადგენს, სამუშაოები 2028 წლის 5 თებერვალს დასრულდება.

2020 წლის 21 თებერვალს დაიწყო და უკვე დასრულებულია პროექტის პირველი ეტაპი. ტერიტორიაზე აშენდა სამი 12 სართულიანი საცხოვრებელი სახლი. 2024 წლის ივნისს, ბინა

საკუთრებაში გადაეცა 582 ოჯახს, რითაც 800-მდე ბავშვისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემო შეიქმნა.

მაღალმთიანი აჭარის გაზიფიცირება

დასკვნით ეტაპზეა მაღალმთიანი აჭარის გაზიფიცირება - გაზსადენი მოიცავს ბათუმი-გოდერძის უღელტეხილის მონაკვეთს (დაახლოებით 120.0 კმ), საიდანაც უკვე დასრულებულია ბათუმი-ხულოსა და გოდერძის უღელტეხილი-კურორტ „გოდერძის" მონაკვეთები. პროექტის ჯამური სამშენებლო ღირებულება 52 864 531 ლარს შეადგენს. ამ ეტაპზე სრულდება პროექტის დარჩენილი ნაწილი - ხულო-გოდერძის გზის გასწვრივ გაზის მილების მოწყობა, დაახლოებით 2,2 კმ.

პროექტის პირველ ეტაპზე სოფელ სალიბაურიდან სოფელ ხიჭაურამდე 63 კმ მონაკვეთზე გაზსადენის მილების მონტაჟი განხორციელდა, რაც 11 900 აბონენტის გაზიფიცირებას მოიცავს. მეორე ეტაპი გულისხმობს ხიჭაურიდან-გოდერძის უღელტეხილამდე 54 კმ საშუალო წნევიანი გაზსადენის მშენებლობას, რითაც დამატებით კიდევ 15 200 აბონენტის გაზიფიცირება მოხდება. ამ ეტაპზე, პარალელურად, სოფლების დაქსელვის სამუშაოები მიმდინარეობს.

დაიწყო ბათუმის სამრეწველო ზონის განვითარება, რომელიც არანაკლებ 90 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთებზე საწარმოების მოწყობას ითვალისწინებს. მოწესრიგდა კომუნალური და საგზაო ინფრასტრუქტურა, მოეწყო 10-მდე ახალი გზა სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელებით, დამონტაჟდა 600-მდე განათების ბოძი. მოსალოდნელია 75 მილიონი აშშ დოლარის კერძო ინვესტიციის მოზიდვა, რითაც დაახლოებით 1500 სამუშაო ადგილი შეიქმნება. ამ ეტაპისათვის 34 საინვესტიციო პროექტი უკვე მიმდინარეობს, ჯამური ინვესტიცია კი 43 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პოლიტიკა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხედვაა, ადამიანური შესაძლებლობების განვითარება, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ღირსეული სისტემის მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოფილი იყოს თითოეული მოქალაქის პოტენციალის სრული რეალიზება, ჯანმრთელი მომავლის შექმნა და თითოეული მოქალაქისათვის ხარისხიანი ცხოვრების უზრუნველყოფა.

უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი - ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება მთავრობის

ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი ზრდადობას შეინარჩუნებს შემდეგ წლებშიც.

- 2025 წელი - 80, 500,000 ლარი;
- 2026 წელი - 87, 000,000 ლარი;
- 2027 წელი - 100,000,000 ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამებით სარგებლობენ სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე მოქალაქეები:

- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები;
- სოციალურად დაუცველი ოჯახები 0-დან 200 000-მდე სარეიტინგო ქულით;
- ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზის მქონე პირები;
- ასაკით პენსიონერი;
- სტიქიური მოვლენებისა და კატასტროფების შედეგად დაზარალებულები;
- ომის ვეტერანები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები;
- უსახლკაროთა თავშესაფრის კონტინგენტი;
- მრავალშვილიანი ოჯახები;
- მარტოხელა მშობელი, არასრულწლოვანი შვილები;
- ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლი პირები;
- ბავშვები, რომელებიც საჭიროებენ სარეაბილიტაციო სერვისებს;
- საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები და სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი 18 წლამდე ბავშვები;
- ეკომიგრანტი ოჯახები და სხვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2025 წლის ნაერთი ბიუჯეტი გაიზარდა 19 მილიონ 245 000 ლარით და შეადგინა 80 მილიონ 500 000 ლარი.

ზრდის პროცენტული მაჩვენებელი განისაზღვრა 31 %-ით. ბიუჯეტის შესრულებამ შეადგინა 99,6 %.

2025 წელს, სამინისტროსა და სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული უწყებების პროგრამებით ისარგებლა 77 081 მოქალაქემ:

- ჯანმრთელობის დაცვის სერვისი 32 241 მოქალაქემ;
- სოციალური დაცვის სერვისი 7 725 მოქალაქემ;
- დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკის მიზნით 22 354 მოქალაქეს ჩაუტარდა სკრინინგული და სხვა კვლევა;
- დასაქმების ხელშეწყობის მიზნით გადამზადდა 461 მოქალაქე.

მნიშვნელოვანი პროგრამული სიახლეები:

- **„გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურების"** პროგრამის ფარგლებში დაიწყო **მაღალი რისკ-ფაქტორის მქონე გულის მძიმე დაავადების** პაციენტებისათვის ძვირადღირებული სარქვლის ტრანსკათეტერული იმპლანტაციის (TAVI) დაფინანსება 40 000 ლარის ფარგლებში.

- **„მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების"** პროგრამის ფარგლებში **პაციენტებს, რომელთა წლიური შემოსავალი 40 000 ლარი და მეტია**, 3000 ლარზე მეტი სამედიცინო მომსახურება უფინანსდებათ მოთხოვნილი თანხის 70%-ით.

- **„მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების"** პროგრამის ფარგლებში დაიწყო ზოგიერთი აუტოიმუნური და მემკვიდრეობითი დაავადების, ძვალსახსროვანი სისტემის (ოსტეოქონდროზი, ოსტეოართროზი), კანის იშვიათი გენეტიკური დაავადების დროს **ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციისა და PRP თერაპიის** (თრომბოციტებით მდიდარი პლაზმური თერაპია) დაფინანსება.

- **„მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების"** პროგრამის ფარგლებში დაიწყო უცხოეთში **ფილტვის ტრანსპლანტაციის** დაფინანსება.

- აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის პროგრამის ფარგლებში დაიწყო **NIPS არაინვაზიური პრენატალური სკრინინგი, ოსტეოპოროზის პრევენციული სკრინინგი** და **ცელიაკიის სკრინინგი ბავშვებში**.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან 2025 წელს ჯამში გამოიყო 17 მილიონ 368 923 ლარი, აქედან:

- 9 მილიონ 826 087 ლარი 1 831 პაციენტის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის;
- 7 მილიონ 542 836 ლარი სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული 704 ოჯახის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისათვის.

2026 წელს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნაერთი ბიუჯეტი შეადგენს 87 000 000 ლარს. გასულ წელთან შედარებით 8 %-ით გაიზარდა.

სამინისტრო დაქვემდებარებულ უწყებებთან ერთად ახორციელებს **39** პროგრამას.

2026 წელს (5 თვე), სამინისტროს პროგრამებით ისარგებლა 30 334 მოქალაქემ:

- ჯანმრთელობის დაცვის სერვისი 14 758 მოქალაქემ;
- სოციალური დაცვის სერვისი 4 839 მოქალაქემ;
- დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკის მიზნით 10 398 მოქალაქეს ჩაუტარდა სკრინინგული და სხვა კვლევა;
- დასაქმების ხელშეწყობის მიზნით გადამზადდა 287 მოქალაქე.

2026 წელს, ჯანდაცვის მიმართულებით განხორციელდა რიგი სიახლეები, რაც უზრუნველყოფს მძიმე დაავადებების მკურნალობის დაფინანსების გაზრდას, მოსახლეობის მხრიდან თანაგადახდის შემცირებას:

- **გულის დაავადების მქონე პაციენტებისათვის** დაიწყო ლიპიდ-დამაქვეითებელი თერაპიის დაფინანსება. ინოვაციური სერვისით სარგებლობა შეუძლიათ ათეროსკლეროზული კარდიოვასკულარული დაავადების მქონე პაციენტებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
- **უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის** პროგრამას ბენეფიციარებად დაემატა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული სკოლისგარეშე სააღმზრდელო, სახელოვნებო და სასპორტო - საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული პირები;
- **ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტებს** - თარგენტული, იმუნოთერაპიული (მონოკლონური ანტისხეულების, პროტეინ კინაზა ინჰიბიტორების), ბისფოსფონატების ჯგუფის მედიკამენტები, რომლებიც არ ფინანსდება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით უფინანსდებათ 80 000 - ლარამდე;

- **ნარკომანიით დაავადებული პაციენტებისათვის,** დაიწყო სტაციონარული მკურნალობის დაფინანსება;
- **საზღვარგარეთ მკურნალობის თანდაფინანსება** გაიზარდა 40 000 ლარამდე.

სოციალური დაცვის მდგრადი, სამართლიანი და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება და შემდგომი გაუმჯობესება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია:

- **რთული ქცევის მოზარდთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მიზნით** ამოქმედდა პროგრამა. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ 7-18 წლის ასაკის ბავშვები და მოზარდები, რომელთა მდგომარეობა არ ექვემდებარება შშმ სტატუსის მინიჭებას, თუმცა ფსიქო-სოციალური პრობლემები უარყოფითად აისახება მათ და მათი ოჯახის წევრების კეთილდღეობაზე;
- **აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის** პროგრამის დაფინანსება გაიზარდა 45%-ით, დაემატა სხვადასხვა თერაპიული კურსი. რეაბილიტაციის კურსი უფინანსდება 2-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებს;
- **100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება,** გაიზარდა 5000 ლარამდე;
- **ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება,** ტყუპისცალზე გაიზრდა 2000 ლარამდე.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ქმნის (პროექტი ხორციელდება მ.იაშვილის სახელობის ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალის ბაზაზე)**, მაღალი რისკის ახალშობილთა ქალის რძის ბანკს,** რომლის მიზანია დღენაკლული და მაღალი რისკის ახალშობილების უსაფრთხო და ეფექტური მკურნალობის მიზნით დონორი ქალის რძით უზრუნველყოფა.

ეკომიგრანტი ოჯახების მხარდაჭერა

2025 - 2026 წწ სამინისტროს თანადაფინანსებით უსაფრთხო საცხოვრებელი შეიძინა 223 ეკომიგრანტმა ოჯახმა, გამოიყო 10.5 მლნ-ზე მეტი ლარი. გასული წლიდან, ეკომიგრანტ ოჯახებს საშუალება აქვს პროგრამით გათვალისწინებული თანხით, საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე, შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ააშენოს საცხოვრებელი სახლი, ასევე შესაძლებლობა აქვთ შეისყიდონ საცხოვრებლად ვარგისი ფართი მშენებარე კორპუსშიც.

2026 წელს დასაქმების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა შემდეგი სიახლეები:

- **საკვანძო კომპეტენციების განვითარება -** პროგრამა აერთიანებს მულტილიგვურ დარგობრივ მომზადებასა და ციფრულ ტრანსფორმაციას (მათ შორის რბილი უნარების განვითარებას), რაც ხორციელდება ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ჰიბრიდული სწავლების მოდელით. მიმდინარე წელს პროგრამას დაემატა გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (Generative AI) მოდულები.
- **საზღვაო სფეროში დასაქმების ხელშეწყობა -** პროგრამა პირველი პრეცედენტია ადგილობრივ ბაზარზე, რომელიც საკრუიზო ლაინერებისათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სპეციალისტებს ამზადებს. პროგრამა უზრუნველყოფს კადრების მაღალანაზღაურებად დასაქმებას, საერთაშორისო გამოცდილების მიღებას და რეგიონის შრომის ბაზარზე კვალიფიციურ სამუშაო ძალად დაბრუნებას. პროგრამას დაემატება ახალი პროფესიული მიმართულება - გემზე კონდიტერის სპეციალისტი.
- **დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა -** პროგრამის მოსარგებლეთა შრომის ბაზარზე დამკვიდრებისა და მდგრადობის უზურნველსაყოფად დაემატა - სამეწარმეო უნარების განვითარების ტრენინგ - კურსი.

გრძელდება მოქალაქეთა მრავალმხრივი საჭიროებების დაფარვა, თანამედროვე სამედიცინო სერვისებზე ხელმისწავდომობა, სოციალური უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, დასაქმების ხელშეწყობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აგრძელებს ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით მნიშნელოვან პროექტებს:

- გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურება;
- ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება;
- მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება;
- სახსრების ენდოპროთეზირება;
- ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევები;
- ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება;
- მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაცია;
- მოსახლეობის საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსება;

- უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დაფინანსება;
- სოფლის სამედიცინო პერსონალის დამატებითი შრომითი ანაზღაურება;
- ჟანგბადის კონცენტრატორებით უზრუნველყოფა.

სხვადასხვა სოციალური დახმარების პარალელურად გაგრძელდება ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამების განხორციელება როგორიცაა:

- სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია;
- მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება;
- შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით;
- მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა;
- ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფარგლებში გაგრძელდება მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული პროგრამების განხორციელება და აღნიშნული პროგრამები მოემსახურება 25 000-ზე მეტ მოქალაქეს. კერძოდ:

- მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ადრეული დიაგნოსტიკა;
- ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში;
- სმენის თანდაყოლილი პათოლოგიის მეორეული დიაგნოსტიკა;
- ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში;
- აუტიზმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში;
- ცელიაკიის სკრინინგი ბავშვებში;
- ოსტეოპოროზის პრევენციული სკრინინგი;
- NIPS - არაინვაზიური პრენატალური სკრინინგი;
- C ჰეპატიტის, ტუბერკულოზის აივ-ინფექციის აქტიური გამოვლენის ხელშეწყობა;
- ორსულ და ლაქტაციის პერიოდში მყოფ ქალებში ტყვიის შემცველობის განსაზღვრა ;
- მშობელთა სკოლა - ორსულთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისათვის;

- ახალშობილთა მეტაბოლური სკრინინგი;
- სპორტსმენ ბავშვთა კარდიული სკრინინგი;
- აჭარის მაღალმთიანი სოფლის მოსახლეობისა და მემთეურთა ავადობის კვლევა;
- მაღალი რისკის ახალშობილთა ქალის რძის ბანკით უზრუნველყოფა.

გაგრძელდება დასაქმების ხელშეწყობა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარებით:

- დასაქმების ხელშეწყობა პროფესიული მომზადება/გადამზადების გზით;
- შშმ პირთა პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობა;
- სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა;
- კვალიფიკაციის ამაღლება არაფორმალური განათლების გზით;
- საზღვაო სფეროში დასაქმების ხელშეწყობა ;
- დასაქმების ხელშეწყობა ციფრული უნარების განვითარების გზით;
- დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა;
- საკვანძო კომპეტენციების განვითარება;
- სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაცია.

2026 - 2029 წლებში დაგეგმილია სერვისების გაფართოება და ახალი პროგრამების ამოქმედება:

- **ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტებს** - ძვირადღირებული იმუნოთერაპიული და სხვა ანტისიმსივნური მედიკამენტები დაუფინანსდებათ პერსონალიზებული საჭიროების მიხედვით;
- **უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ფარგლებში** - საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან ერთად პროგრამით ისარგებლებენ სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები, ასევე არარეგულარული შემოსავლის მქონე პირები;
- **მოხუცთა დღის ცენტრი** - პროექტი სრულფასოვანი კომპლექსური ღონისძიებებით ხელს შეუწყობს ასაკოვანი ადამიანების ჩართვას სოციალურ აქტივობებში, დაეხმარება მათ თვითრეალიზაციას ახალ პირობებში/გარემოში;

- **მხედველობის დარღვევების ადრეული გამოვლენა სამიზნე ჯგუფში -** სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის მხედველობის სხვადასხვა დარღვევის დროული გამოვლენა და საჭიროებისას ღრმა დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარება.

ინფრასტრუქტურული პროექტები

მიმდინარეობს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების მართვის ცენტრის და ქ. ბათუმის N1 პოლიკლინიკის შენობების მშენებლობა. პროექტის თანახმად, ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს არსებულ შენობას დაემატება 4 სართულიანი ფლიგელი, 50 საწოლზე გათვლილი პედიატრიული სერვისებისთვის, რისთვისაც გამოყოფილია 50 800 000 ლარამდე.

დაგემილია ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრის ბაზაზე ახალი თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი კლინიკის მშენებლობა. საპროგნოზოდ გამოიყოფა 50 000 000 ლარი.

განათლება, მეცნიერება და ახალგაზრდობა

განათლება, მეცნიერება და ახალგაზრდობის პოლიტიკა ქვეყნის განვითარების ის სფეროებია, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანური კაპიტალის განვითარებას, ქვეყნის ინოვაციურ და ეკონომიკურ წინსვლას, ქმნის ახალ შესაძლებლობებს, ამაღლებს კონკურენტუნარიანობას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ძირითადი მიმართულება აღნიშნულ სფეროებში მიზნად ისახავს ინკლუზიური, ხარისხიანი და თანამედროვე მოთხოვნებზე მორგებული განათლების სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ პროგრამების განხორციელებას იმ პირობებში, როდესაც საქართველოს მთავრობისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და მიმდინარეობს რეფორმა განათლების ყველა საფეხურზე.

საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

2025 წელი უპრეცედენტო იყო საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული ფართომასშტაბიანი პროექტების თვალსაზრისით. **2025-2026 სასწავლო წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 10 000 -ზე მეტი მოსწავლე განახლებულ გარემოში შეხვდა სასწავლო პროცესს. 2025 წელს სწავლა განახლდა სრულად რეაბილიტირებულ ბათუმის N7, სოფელ ხიხაძირის, აგარის, ზემო წინსვლის, ჯიხანჯურის, აჭყვისთავის, ერგეს საჯარო სკოლებში.**

იმის გათვალისწინებით, რომ ქ. ბათუმში სწრაფად იზრდება მოსწავლეთა რაოდენობა, გარდა არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა, აქტიურად მიმდინარეობს დამატებითი სივრცეების შექმნა, როგორც ახალი სკოლების მშენებლობა, ასევე არსებულ სკოლებში დამატებითი კორპუსების მშენებლობა. ბოლო რამდენიმე წელია ყოველ ახალ სასწავლო წელს ქ. ბათუმში ახალაშენებული ან სრულად რეაბილიტირებული სკოლით ვხვდებით და ამ კუთხით 2026 წელიც არ იქნება გამონაკლისი. წელს გვექნება განსაკუთრებული სიახლე - უკვე სამართლებრივად დაფუძნდა და მაისის თვიდან დაიწყება ავტორიზაციის გავლის პროცესი, რათა სექტემბერში სწავლა დავიწყოთ ქ. ბათუმის ახალ, **N21 საჯარო სკოლაში.** ეს არის ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში პირველი შემთხვევა, როდესაც ახალი სკოლა აშენდა და დაფუძნდა.

სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უსაფრთხოებას, მათ შორის გამოყენებული მასალების ხარისხსა და შესაბამისობას, სასწავლო დაწესებულებებში ვიდეო-სათვალთვალო სისტემების მონტაჟს, რომლითაც შესაძლებელი იქნება სკოლის დერეფნებისა და ეზოს მონიტორინგი. მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროცესში სამინისტრო უზრუნველყოფს მოსწავლეთა ტრანსპორტირებას ალტერნატიულ სკოლებში. გრძელდება შენობების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთათვის - 12 სკოლაში დამონტაჟდა ლიფტი.

მნიშვნელოვანია, რომ აქტიურად მიმდინარეობს სკოლების ავტორიზაციის პროცესი და სამინისტრო მაქსიმალურად უწყობს ხელს სკოლებს არსებული გამოწვევების დრულად დაძლევაში, რაც გამოიხატება დიდი თუ მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში. **დღეის მდგომარეობით, ავტორიზაცია გაიარა 60 საჯარო სკოლამ (მათ შორის ქ. ბათუმში ავტორიზებულია 16 სკოლა და პროცესშია კიდევ 5 სკოლა), წლის ბოლომდე კიდევ დაემატება ოცდაათამდე სკოლა. დაგეგმილი გვაქვს, რომ 2028 წლის ბოლოსათვის რეგიონის ყველა სკოლამ დააკმაყოფილოს ავტორიზაციისათვის დადგენილი სტანდარტები.**

საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მიმართულებით 2025 წელს დაიხარჯა 29 770 700 ლარი, 2026 წლის ბიუჯეტი შეადგენს **49 293 445** ლარს. დაგეგმილია 25 საჯარო სკოლის მშენებლობისა და 50 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება, ასევე, 40 საჯარო სკოლის სამშენებლო-სარეაბილიტაციო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

ასევე, 2025 წელს 7 საჯარო სკოლაში მოეწყო ღია სპორტული მოედანი. ჯამში ბოლო წლებში, 30-მდე საჯარო სკოლაში მოეწყო ღია სპორტული მოედნები, რაც მშენებლობა-რეაბილიტაციის დროს გათვალისწინებულ დახურულ სპორტულ დარბაზებთან ერთად, სკოლებში ქმნის შესაბამის პირობებს სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის უზრუნველყოფის მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონში საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებს საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდიც. დღეის მდგომარეობით სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს ქ. ბათუმის ნომერ მეოთხე და ნომერ მეხუთე სკოლებში. ასევე მზადდება ჩაქვის პირველი საჯარო სკოლის ახალი შენობის მშენებლობის პროექტი. გარდა აღნიშნული პროექტებისა, ჩვენ გვაქვს მათთან მჭიდრო კომუნიკაცია და შემიძლია ვთქვა, რომ უახლოესი სამი წლის განმავლობაში მგფ განახორციელებს 20-ზე მეტი საშუალო სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციას.

მსხვილი პროექტები მუნიციპალიტეტების მიხედვით:

ქ. ბათუმი:

დასრულდა:

- ქ. ბათუმის N7 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია;
- ქ. ბათუმის N8 სკოლის სრული რეაბილიტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი;
- ქ. ბათუმის N9 სკოლის რეაბილიტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი.

2026 წელს მიმდინარეობს:

- ქ. ბათუმის ცენტრალურ ნაწილში ახალი სკოლის მშენებლობა (დასრულების ეტაპზეა);
- ქ. ბათუმის N3 საჯარო სკოლის ახალი კორპუსის მშენებლობა (დასრულების ეტაპზეა);
- ქ. ბათუმის N14 საჯარო სკოლის დამატებითი კორპუსის მშენებლობა (დასრულება 2027წ.);
- ქ. ბათუმის N18 საჯარო სკოლის დამატებითი კორპუსის მშენებლობა (დასრულება 2027წ,);
- ქ. ბათუმის N31 საჯარო სკოლის მშენებლობა (დასრულდება 2027 წელს);
- ქ. ბათუმის N22 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია (დასრულდება 2027 წელს).

იგეგმება:

- ქ. ბათუმის N8 საჯარო სკოლის დამატებითი კორპუსის მშენებლობა (პროექტირება მიმდინარეობს);
- ქ. ბათუმის N15 საჯარო სკოლის დამატებითი კორპუსის მშენებლობა (წინა სატენდერო პროცედურა);
- ქ. ბათუმის N20 საჯარო სკოლის დამატებითი კორპუსის მშენებლობა (პროექტირება მიმდინარეობს);
- ქ. ბათუმის შემოერთებულ ტერიტორიაზე (კახაბრის დასახლება) კიდევ ერთი სრულიად ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, რომლის პროექტირებაც დასრულდა;
- ქ. ბათუმში, ე.წ. „ოცნების ქალაქში“ ახალი სკოლის მშენებლობა (პროექტირება დაიწყება წელს).

განხორციელდება ქ. ბათუმის N1, N9, N11, N17, N14, N25 და N26, N29 საჯარო სკოლების სრული და ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი:
მიმდინარეობს ქ. ბათუმის N4 და N5 სკოლების სრული რეაბილიტაცია.

დაგეგმილია:
- ქ. ბათუმის N27 სკოლის მშენებლობა (2027 წ);
- ქ. ბათუმის N9 სკოლის დამატებითი კორპუსის მშენებლობა (2028 წ);
- ქ. ბათუმის N13 სკოლის რეაბილიტაცია (2027 წ).

ქობულეთის მუნიციპალიტეტი:
დასრულდა:
- სოფელ ჯიხანჯურის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია;
- სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია, სრულდება სააქტო დარბაზის მოწყობა;
- სოფელ საჩინოს სკოლის სპორტ-დარბაზის მშენებლობა და ძირითადი შენობის რეაბილიტაცია.

2026 წელს მიმდინარეობს:
ქ. ქობულეთის N1 სკოლის რეაბილიტაცია (დასრულდა შიდა ნაწილობრივი რეაბილიტაცია, მიმდინარეობს ღია მოედნის მოწყობა, ასევე შესყიდული იქნება სახანძრო უსაფრთხოების პროექტი).

დაგეგმილია:
- სოფელ ბობოყვათის სკოლის მშენებლობა (წინა სატენდერო პროცედურა);
- სოფელ მუხაესტატეს სკოლის მშენებლობა (წინა სატენდერო პროცედურა);
- სოფელ ქვედა სამების სკოლის მშენებლობა (მიმდინარეობს პროექტირება);
- ქობულეთის N2 სკოლის დამატებითი კორპუსის მშენებლობა (მიმდინარეობს პროექტირება);
- სოფელ ციხისძირის სკოლის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი (წინა სატენდერო პროცედურა);
- სოფელ კვირიკეს N2 სკოლის სრული რეაბილიტაცია (გამოცხადებულია ტენდერი);
- სოფელ ქაქუთის სკოლის სრული რეაბილიტაცია (წინა სატენდერო პროცედურა);
- სოფელ წყავროკას სკოლის რეაბილიტაცია (გამოცხადებულია ტენდერი);
- სოფელ ჩაისუბნის N2 სკოლის რეაბილიტაცია (წინა სატენდერო პროცედურა). ამასთან, მიმდინარეობს ღია მოედნის მოწყობა;
- დაბა ჩაქვის N2 სკოლის დამატებითი კორპუსის მშენებლობა (მიმდინარეობს პროექტირება);
- სოფელ სახალვაშოს სკოლის მშენებლობა (მიმდინარეობს პროექტირება);
- სოფელ ნაკაიძეების სკოლის მშენებლობა (მიმდინარეობს პროექტირება);
- სოფელ აჭყვას სკოლის მშენებლობა ან არსებულის გამაგრება (მიმდინარეობს შესწავლა);
- სოფელ ლეღვას N1 სკოლის მშენებლობა (გამოცხადდება კონკურსი პროექტის თაობაზე);

- სოფელ ქობულეთის სკოლის რეაბილიტაცია (წინა სატენდერო პროცედურა);
- სოფელ ზენითის სკოლის რეაბილიტაცია (წინა სატენდერო პროცედურა);
- სოფელ ჭახათის სკოლის რეაბილიტაცია (წინა სატენდერო პროცედურა);
- სოფელ ხალას სკოლის რეაბილიტაცია (წინა სატენდერო პროცედურა).

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი:

დაგეგმილია:
- სოფელ ცეცხლაურის N1 სკოლის მშენებლობა (2026 წ);
- დაბა ჩაქვის N1 სკოლის მშენებლობა (პროექტირება მიმდინარეობს);
- ქობულეთის N3 სკოლის რეაბილიტაცია (2028 წ);
- სოფელ კონდიდის სკოლის მშენებლობა (2027 წ. პროექტირება მიმდინარეობს ჩვენს მიერ, მუნიციპალიტეტის მიერ მოხდა მიწის შესყიდვა);
- სოფელ ოჩხამურის სკოლის მშენებლობა (2026 წ.).

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი:

დასრულდა:
- სოფელ აგარის სკოლის სრული რეაბილიტაცია;
- სოფელ ერგეს სკოლის სრული რეაბილიტაცია;
- სოფელ ზემო წინსვლის სკოლის მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

2026 წელს მიმდინარეობს:

დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლის დამატებითი კორპუსის მშენებლობა (დასრულების ეტაპზეა).

დაგეგმილია:
- სოფელ თხილნარის N2 სკოლის მშენებლობა (წინა სატენდერო პროცედურა);
- სოფელ ახალშენის N1 სკოლის ახალი კორპუსის მშენებლობა და არსებული შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია (წინა სატენდერო პროცედურა);
- სოფელ ჭარნალის სკოლის მშენებლობა (მიმდინარეობს პროექტირება);
- სოფელ ახალსოფლის სკოლის დამატებითი კორპუსის მშენებლობა (მიმდინარეობს პროექტირება);
- სოფელ სალიბაურის N2 სკოლის სპორტდარბაზის მშენებლობა (წინა სატენდერო პროცედურა);
- სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის სკოლის სრული რეაბილიტაცია (წინა სატენდერო პროცედურა);
- სოფელ ორთაბათუმის სკოლის რეაბილიტაცია (წინა სატენდერო პროცედურა);
- სოფელ ზემო ახალშენის სკოლის გამაგრება (წინა სატენდერო პროცედურა);
- სოფელ მახოს სკოლის რეაბილიტაცია (დაიწყება პროექტირება);
- სოფელ თხილნარის N1 სკოლის რეაბილიტაცია (მიმდინარეობს პროექტირება);

- სოფელ ჩიქუნეთის სკოლის რეაბილიტაცია (მიმდინარეობს პროექტირება);
- სოფელ ფერიის სკოლის სხვადასხვა სამუშაოები (წინა სატენდერო პროცედურა);
- სოფელ სარფის სკოლის სხვადასხვა სამუშაოები (წინა სატენდერო პროცედურა);
- სოფელ ყოროლისთავის სკოლის რეაბილიტაცია (მიმდინარეობს პროექტირება);
- სოფელ სალიბაურის N1 სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (მიმდინარეობს პროექტი-რება).

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი:
დაგეგმილია:
- ხელვაჩაურის N1 სკოლის მშენებლობა (2026 წ. პროექტი გადაცემულია ჩვენ მიერ);
- სოფელ ქვემო ახალშენის სკოლის მშენებლობა (2027 წ.);
- სოფელ ახალშენის N2 სკოლის მშენებლობა (2028 წ.);
- სოფელ წინსვლის სკოლის მშენებლობა (2027 წ. პროექტი გადაცემულია ჩვენ მიერ).

ქედის მუნიციპალიტეტი:
დასრულდა:
სოფელ დანდალოს და დანდალოს N1 საჯარო სკოლების სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2026 წელს მიმდინარეობს:
- სოფელ ზვარეს სკოლის სპორტ-დარბაზის მშენებლობა;
- სოფელ მერისის სკოლის სრული რეაბილიტაცია;
- სოფელ პირველი მაისის სკოლის შიდა სრული რეაბილიტაცია;
- სოფელ მახუნცეთის სკოლის შიდა სრული რეაბილიტაცია.

დაგეგმილია:
დაბა ქედის სკოლის რეაბილიტაცია.

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი:
დაგეგმილია:
სოფელ წონიარისის სკოლის რეაბილიტაცია (2027 წ.).

შუახევის მუნიციპალიტეტი:
დასრულდა:
- სოფელ ფურტიოს სკოლის რეაბილიტაცია.

დაგეგმილია:
- სოფელ ბრილის სკოლის მშენებლობა;

- სოფელ ოლადაურის სკოლის ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- სოფლების: ბარათაულის, ჭვანის, ბუთურაულის, ხაბელაშვილების სკოლების სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი:
დაგეგმილია
- სოფელ ნიგაზეულის სკოლის მშენებლობა (2027 წ.);
- სოფელ დღვანის სკოლის მშენებლობა (2028 წ.);
- სოფელ ახალდაბის სკოლის მშენებლობა (2028 წ.) (მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მიმდინარეობს მიწის ნაკვეთის შესყიდვა).

ხულოს მუნიციპალიტეტი:
დასრულდა:
- სოფელ ხიხაძირის სკოლის სრული რეაბილიტაცია.

2026 წელს მიმდინარეობს:
- სოფელ ქვემო ვაშლოვანის სკოლის სასწავლო კორპუსისა და კამპუსის მშენებლობა;
- სოფელ უჩხოს სკოლის მშენებლობა;
- სოფელ დანისპარაულის სკოლის მშენებლობა.

დაგეგმილია:
- სოფელ დიდაჭარის სკოლის სრული რეაბილიტაცია;
- სოფელ რაქვთის სკოლის რეაბილიტაცია;
- დაბა ხულოს სკოლის სპორტდარბაზის რეაბილიტაცია.

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი:
დაგეგმილია:
- სოფელ წაბლანის სკოლის მშენებლობა (2026 წ.) (პარალელურად მიმდინარეობს იმავე ტერიტორიის გეოლოგიური კვლევა);
- ზემო ვაშლოვანის სკოლის რეაბილიტაცია (2028 წ.);
- სოფელ რიყეთის სკოლის რეაბილიტაცია (2027 წ.);
- სოფელ ღორჯომის სკოლის მშენებლობა (2026 წ.) .

საჯარო სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესება
მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოების პარალელურად, სასკოლო ცხოვრების მრავალფეროვნებისა და მოსწავლეთა ინტერესების, უნარების რეალიზებისათვის შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით სამინისტრო ახორციელებს საჯარო სკოლების

მატერიალური ბაზის გაუმჯობესების პროგრამას, რომლის ფარგლებში 2025 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ მომავლის სკოლა - 24 საჯარო სკოლა აღიჭურვა 173 ერთეული ლეპტოპითა და 193 ერთეული პროექტორი/ეკრანით, რაც მასწავლებელს აძლევს საშუალებას საგაკვეთილო პროცესი გახადოს უფრო ინტერაქტიული;
- ✓ მოხდა 6 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის რემოდელირება (ბიბლიოთეკის სივრცის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად რეაბილიტაცია, ტექნიკითა და ავეჯით აღჭურვა, სამკითხველო დარბაზების მოწყობა);
- ✓ 5 საჯარო სკოლას გადაეცა მუსიკალური ინსტრუმენტების კომპლექტი (ელექტროპიანინო, გიტარა, დასარტყამი და სასულე ინსტრუმენტები და სხვა).
- ✓ 30 საჯარო სკოლას გადაეცა სპორტული ინვენტარი;
- ✓ 10 საჯარო სკოლის სახელოვნებო სივრცე რემოდელირებულია, შეძენილია ინვენტარი და სხვადასხვა რესურსი, სადაც შესაძლებლია როგორც ტრადიციული, ასევე თანამედროვე ხელოვნების დარგების სწავლება;
- ✓ 80 საჯარო სკოლას გადაეცათ 6500 კომპლექტი სასკოლო მერხი და სკამი.

2026 წელს:

- ✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 20 საჯარო სკოლა აღიჭურვება სასკოლო ინვენტარით;
- ✓ 10 სკოლას გადაეცემა სასკოლო ლაბორატორია;
- ✓ 5 სკოლას გადაეცემა მუსიკალური ინსტრუმენტების კომპლექტი;
- ✓ 20 სკოლა აღიჭურვება ტექნოლოგიებით;
- ✓ 30 საჯარო სკოლა უზრუნველყოფილი იქნება სპორტული ინვენტარით;
- ✓ დასრულდება 11 ბიბლიოთეკის რემოდელირება;
- ✓ დასრულდება 5 სახელოვნებო სივრცის რემოდელირება/აღჭურვა.

საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო უზრუნველყოფს საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვას კონსოლიდირებული ტენდერის გზით. მოსწავლეთა უსაფრთხოდ გადაადგილების უზრუნველყოფისათვის გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში (საცხოვრებელი ადგილიდან სკოლამდე დიდი მანძილი, გზა ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ, ტყიანი ადგილები, მდინარეებზე გადასასვლელები, შშმ სტატუსის მქონე პირები და ა.შ.) ხდება მოსწავლეთა ტრანსპორტირება. 2026 წელს პროგრამის ფარგლებში გაიხარჯება **10 მილიონ ლარამდე და სარგებლობს 16 194 მოსწავლე.**

სკოლამდელი განათლება

2023 წლიდან დაიწყო, როგორც საჯარო, ასევე კერძო ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების თვითშეფასებისა და მათი მხარდაჭერის პროცესი ავტორიზაციის გავლის მიზნით. სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში აგრძელებს ადრეული განათლების დაწესებულებებში მომსახურების ხარისხის გაზრდისა და სახელმწიფო სტანდარტების დაცვის ხელშეწყობას.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფინანსდა ადრეული და სკოლამდელი განათლების მიმართულებით სახელმძღვანელოების თარგმნა, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენციები ადრეული განათლების საკითხებზე. ადრეული განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტების პარტნიორია გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში (UNICEF Georgia).

მოსწავლის უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სასკოლო გარემოს შექმნა

ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ფარგლებში ვახორციელებთ პროგრამებს, რომელთა მიზანია ისეთი სასკოლო გარემოს შექმნა, სადაც თითოეულ მოსწავლეს მიეცემა განვითარების თანაბარი შესაძლებლობა, გაიზრდება მათი მოტივაცია, სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა საკუთარი ინტერესებისა და უნარების შესაბამისად. სასკოლო განათლების სამივე საფეხურზე იმართება სხვადასხვა კონკურსები, ოლიმპიადები, შეჯიბრებები, საგანმანათლებლო/შემეცნებითი და სახელოვნებო/სასპორტო ღონისძიებები, რომლებშიც ყოველწლიურად არანაკლებ 15 000 მოსწავლე ერთვება; ჯილდოვდებიან გამარჯვებული მოსწავლეები; ფინანსდება სასკოლო კლუბები; სასკოლო ბიბლიოთეკის განვითარების პროექტები; ხდება საზაფხულო სკოლების ორგანიზება; მოსწავლეთა მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მოსწავლეების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით გრძელდება იმ პროექტების მხარდაჭერა, რომლის ფარგლებშიც ხდება მათზე მორგებული სასწავლო გარემოს შექმნა და შესაბამისი სერვისების განვითარება, ინკლუზიური განათლების ცენტრების ფუნქციონირება.

- 2024 წლის კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით, კერძოდ 84 ერთეული პლანშეტური კომპიუტერი და 32 ერთეული პორტაბელური კომპიუტერი და 4 ერთეული სმარტ საათი;
- განხორციელდა ლიტერატურული მარათონის, სახვითი ხელოვნების კონკურსის, ესეების კონკურსის, საგნობრივი ოლიმპიადისა და დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის კონკურსის ორგანიზება; გამოვლინდა 120 გამარჯვებული მოსწავლე. გამარჯვებულების დაჯილდოვება იგეგმება უახლოეს პერიოდში;
- დაფინანსდა 20 სასკოლო ბიბლიოთეკის პროექტი, სადაც გამარჯვებული სკოლა

ფინანსდება 3000 ლარით, მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურის შესაძენად;

- დაფინანსდა 20 სასკოლო კლუბის ინიციატივა;
- ორგანიზება გაეწია 10 საზაფხულო სკოლას - ფიზიკის, მათემატიკისა და სამოქალაქო განათლების მიმართულებით;
- საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების ფარგლებში 10 მოსწავლე გაემგზავრა თურქეთის სამეცნიერო ბანაკში;
- 10 მოსწავლე გაემგზავრა პოლონეთში, ვროცლავში ორგანიზება გაეწია პოლონეთიდან 10 მოსწავლის შემეცნებითი ტურს აჭარაში.

2026 წელს კონკურსებისა და ოლიმპიადების ორგანიზებისთვის განკუთვნილია **1 100 000** ლარი. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა კონკურსების, ოლიმპიადების, საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზება, 20 სასკოლო კლუბის და 30 სასკოლო ბიბლიოთეკის პროექტის დაფინანსება, 10 საზაფხულო ბანაკის ორგანიზება.

გვაქვს სიახლეები **სკოლებში აგრარული განათლების პოპულარიზაციის** მიზნით. 2026 წელს პირველად ვიწყებთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხუთ სკოლაში პროექტის განხორციელებას. სკოლებში აგრარული განათლების დანერგვა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მოსწავლეებში სოფლის მეურნეობისადმი ინტერესის გაღვივებაში და ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებაში. აღნიშნული პროექტი მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას უშუალოდ ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობაში – მცენარეების დარგვაში, მათ მოვლა-პატრონობაში, ნიადაგის დამუშავებაში. ასეთი პრაქტიკული გამოცდილება ხელს შეუწყობს შესაბამისი ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბებას, პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერებას და გუნდური მუშაობის განვითარებას.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩართულობით, საწყის ეტაპზე შეირჩა შემდეგი 5 სკოლა:
1. **სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა -** მცირე ზომის სათბურის მოწყობა ბოსტნეული კულტურების საჩითილე მეურნეობისათვის;
2. **სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N1 საჯარო სკოლა -** მოცვის მოყვანა ქოთნებში ირიგაციისა და ფერტიგაციის სისტემების გამოყენებით;
3. **სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლა -** ბოსტნეული კულტურების საჩითილე მეურნეობა მცირე სათბურში და ბოსტნეული კულტურების მოყვანა ღია გრუნტში;
4. **სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ უჩამბის საჯარო სკოლა -** მოცვის მოყვანა ქოთნებში ირიგაციისა და ფერტიგაციის სისტემების გამოყენებით;
5. **სსიპ აბესალომ აბაშიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ სხალთის საჯარო სკოლა-** ჟოლოს ბაღის გაშენება ღია გრუნტში. მაისის პირველ ნახევარში ვგეგმავთ პროექტის პრეზენტაციას.

ზოგადი განათლების სისტემის რეფორმის ეროვნული კონცეფციის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარება. სწორედ ამ მიზნით 2026 წელს სამინისტრო განახორციელებს ახალ პროექტს, რომელიც გულისხმობს პანდემიის შემდეგ, სამინისტროს ხელშეწყობით სკოლებში ჩამოყალიბებული **სასკოლო თეატრალური დასებისა და მუსიკალური ბენდების** შემდგომი განვითარების მხარდაჭერას.

ინკლუზიური განათლება

სასკოლო განათლებაში ინკლუზიურობა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერა ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, რომლის შესასრულებლად:

ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისას ხდება შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინება და შენობების ადაპტირება; ყველა სფეროში, კონკურსებისა თუ სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვისას პრიორიტეტი ენიჭება პროექტების მხარდაჭერას, რომლებიც ორიენტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინტეგრაციაზე, მათ ჩართულობაზე; სტუდენტთა დახმარების პროგრამაში ცალკე კატეგორიად გამოიყო შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების დაფინანსება.

დღეის მდგომარეობით 1600-ზე მეტი სსსმ მოსწავლეა, რომლებთანაც მუშაობს 260-მდე სპეცმასწავლებელი. ასევე, თემატური ტრენინგები გაიარა 300-ზე მეტმა საგნის მასწავლებელმა. მასწავლებლებისა და სკოლის დირექციის წევრების გადამზადება ინკლუზიური განათლების მიმართულებით, გაფართოვდება რეფორმის ფარგლებში.

ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა - ქ. ბათუმის N26 საჯარო სკოლის, დაბა ქედის საჯარო სკოლისა და ქობულეთის N3 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების ცენტრები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერისა და გაძლიერების მიზნით, ინკლუზიურობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპების გათვალისწინებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს სთავაზობენ სკოლის შემდგომი პროგრამების მრავალფეროვან სპექტრს.

ინკლუზიური განათლების ცენტრების სპეციალიზებულ სექციებს შორის არის კერამიკის, გამოყენებითი ტექსტილისა და სახვითი ხელოვნების განყოფილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეების შემოქმედებითი გამოხატვისა და უნარების განვითარების შესაძლებლობებს. ინკლუზიური განათლების ცენტრები ხელს უწყობს მოსწავლეების თვითრწმენის ამაღლებას, საზოგადოებაში მათ ინტეგრირებას, სასკოლო პროცესში ჩართულობის ამაღლებას, პროფესიულ თვითგამორკვევასა და სკოლაში დადებითი კლიმატის შექმნას.

2025 წელს დავიწყეთ ანალოგიური ცენტრის მოწყობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლაში. ამ ეტაპზე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დასრულებულია, მიმდინარეობს სივრცის აღჭურვა. ახალი სასწავლო წლიდან აღნიშნულ

ცენტრში ასზე მეტი სსსმ მოსწავლე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებიდან დღის მეორე ნახევარში ჩაერთვებიან არტთერაპიის პროექტში.

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერა

ვასწავლოთ მომავალი წარმატებისათვის - 2025 წელს ქვეპროგრამით გათვალისწინებული პირობებით, მაღალმთიანი აჭარის (ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტები) საჯარო სკოლებში არსებული სხვადასხვა საგნის მასწავლებლის დეფიციტის შესავსებად სულ დასაქმდა 19 მასწავლებელი, რომლებზეც გაიცემა ყოველთვიური სახელფასო დანამატი 1000 ლარის ოდენობით.

2026-2027 სასწავლო წლისათვის დაგეგმილია 30 მასწავლებლის დასაქმება. ასევე იზრდება სახელფასო დანამატი და **განისაზღვრება 1250 ლარით.**

„პროექტი ჩემს გაკვეთილზე" - ხორციელდება 2023 წლიდან და გულისხმობს ინოვაციური, პროექტებით სწავლებაზე დაფუძნებული, მრავალკომპონენტიანი საგაკვეთილო პროექტის დაფინანსება. ერთი სასწავლო წლის ვადით, გამარჯვებულ მასწავლებელს ეძლევა ყოველთვიური 500-ლარიანი დანამატი და ერთჯერადად 1000 ლარი რესურსების შესაძენად. სულ დაფიფანანსდა **261 პროექტი,** მათ შორის 2025 წელს კონკურსის შედეგად შეირჩა 100 პროექტი. ახალი სასწავლო წლისათვის კონკურსის ფარგლებში შეირჩევა კიდევ 50 პროექტი.

ჩემი დამრიგებელი - 2026 წელს იწყება ახალი პროექტი ,,ჩემი დამრიგებელი'', რომლის მიზანია კლასის დამრიგებლების წახალისება, რათა ზოგადი განათლების სისტემის რეფორმის ეროვნული კონცეფციის შესაბამისად ეფექტიანად განახორციელონ თავიანთი უფლება-მოვალეობები და ფუნქციები, ასევე დანერგონ და შეიმუშაონ მშობლებთან ეფექტური კომუნიკაციისა და თანამშრომლობის მექანიზმები. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი საჯარო სკოლების დამრიგებლებს. კონკურსში გამარჯვებული 100 მასწავლებელი მიიღებს სახელფასო დანამატს 2026-2027 სასწავლო წლის განმავლობაში.

მასწავლებელთა წახალისება - გაიმართა არა ერთი შეხვედრა წარმატებულ და ღვაწლმოსილ მასწავლებლებთან. ასევე, ორ მასწავლებელზე, რომლებიც გახდნენ მასწავლებლის ეროვნული პრემიის მფლობელები, სამინისტრომ გასცა ერთჯერადი ფულადი ჯილდო თითეულზე 5 000 ლარის ოდენობით. აქვე მსურს აღვნიშნო, რომ სულ სამჯერ გაიმართა ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც ჩვენი ღვაწლმოსილი მასწავლებლების შრომის აღიარებასა და დაფასებას ისახავს მიზნად და **სამივე წელს საუკეთესო ათეულში ორ-ორი მასწავლებელი შეირჩა,** რაც მთლიანად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მასწავლებლების წარმატებაა.

პროფესიული განვითარების ხელშეწყობა - უწყვეტად გრძელდება მასწავლებლების, სკოლის ადმინისტრაციისა და სკოლის პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერა; აჭარის განათლების ფონდის (ბათუმის მასწავლებელთა სახლის) მიერ ორგანიზებულ შესაბამის ტრენინგ-კურსებს ყოველწლიურად გადის 3 000-ზე მეტი ადამიანი. პროექტს სრულად აფინანსებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

საერთაშორისო გამოცდილება - ყოველწლიურად საერთაშორისო სტაჟირებას გადის საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებების საგანთა 12 მასწავლებელი; ასევე, შვეიცარიის, ქ. ჟენევაში არსებულ ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრში (CERN) სტაჟირებაში ერთვება ფიზიკის ოთხი მასწავლებელი.

პროფესიული და უმაღლესი განათლება, სტუდენტთა ხელშეწყობა

ახალგაზრდების ინტერესების, საჭიროებების გათვალისწინება; პროფესიულ და უმაღლესი განათლების საფეხურებზე მათთვის ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; განათლების ინტერნაციონალიზაცია; პროფესიული ზრდის ხელშეწყობა; როგორც აკადემიური, ასევე, არაფორმალური განათლების სფეროში, ახალგაზრდობის პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების დაფინანსების ზრდა და გაფართოვება (საგრანტო კონკურსები, სტაჟირება და სხვ.) წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას.

პროფესიული განათლება

პროფესიულ განათლებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ახალგაზრდების დასაქმებაში. ჩვენთვის მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების ხელშეწყობა. სამინისტრო ახორციელებს ორ პროექტს: **პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა** და **საერთაშორისო კონფერენციის დაფინანსება.**

2025 წელს დაფინანსდა სსიპ კოლეჯი „ბლექსისა“ და სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღას“ 10 პროფესიული განათლების მასწავლებლის საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით - 50 000 ლარით და სსიპ კოლეჯი „ბლექსისა“ და სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღას“ ერთბლივი საგანმანათლებლო ღონისძიება საერთაშორისო კონფერენცია - 30000 ლარით.

2026 წელს დაგეგმილია რიგით მესამე კონფერენციის ორგანიზება, 10 პროფესიული განათლების მასწავლებლების საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობის დაფინანსება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით და ასევე სსიპ კოლეჯი „ბლექსისა“ და სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღის“ 10 პროფესიული სტუდენტის დაფინანსება, რომელიც არანაკლებ ერთი თვით, გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გაემგზავრებიან

ევროკავშირის წევრ ქვეყანაში, გაერთიანებულ სამეფოში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, იაპონიაში და სხვ. არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით **ქ. ბათუმში, განათლებისა და მეცნიერების ქალაქში 560 სტუდენტზე გათვლილი კოლეჯ „ბლექსის" ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა გრძელდება.** პროექტის ფარგლებში შენდება ახალი სასწავლო კომპლექსი, სადაც განთავსდება აუდიტორიები თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის, სტუდენტური სივრცე, საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი. პროექტი 50 სტუდენტზე გათვლილ საერთო საცხოვრებლის მშენებლობასაც ითვალისწინებს. ინფრასტრუქტუ-რული პროექტი დასრულდება მიმდინარე წელს, რის შემდეგ იგეგმება მშენებლობა ამჟამად არსებული შენობის ნაცვლად, შედეგად გაფართოვდება პროფესიების ჩამონათვალი და სტუდენტთა რაოდენობა, რომლებთაც ექნებათ პროფესიული განათლების უფასოდ მიღების საშუალება.

უმაღლესი განათლება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სამეცნიერო -კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობის ხელშეწყობა

- მხარდაჭერილი იყო სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, გაუმჯობესდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; დაფინანსდება აკადემიური პერსონალის, ახალგაზრდა მეცნიერების სამეცნიერო-კვლევითი პროექტები. სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა ბსუ-ს 90 წლის საიუბილეო ღონისძიება. აღსანიშნავია, რომ ის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო საქართველოს მთავრობამ და უმაღლესი განათლების რეფორმის ფარგლებში ბსუ-ს შეუნარჩუნდა მრავალპროფილური უნივერსიტეტის სტატუსი. თავის მხრივ, ამ გადაწყვეტილებას, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელი შეუწყო შესაბამისი ადამიანური რესურსების, სამეცნიერო საქმიანობის მდგრადობამ და თანამედროვე ინფრასტრუქტურის არსებობამ.
- გაუმჯობესდა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სასწავლო- საგანმანათლებლო რესურსები;
- ხელი შეეწყო სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების განხორციელებისა და პროგრამების აკრედიტაციის პროცესს;
- ხელი შეეწყო ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების განხორციელებას.

სტუდენტთა დახმარება - სტუდენტთა დახმარების პროგრამა ითვალისწინებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსებას. დაფინანსება გაიცემა წლის განმავლობაში ორჯერ სემესტრში 1125 ლარის ოდენობით. პროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაიცემა სტუდენტებზე მაღალმთიანი აჭარიდან, სოციალურად დაუცველი ოჯახიდან, მრავალშვილიანი ოჯახიდან და სხვა.

ამ პროგრამის ფარგლებში, სულ 2012-2025 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ ჯამურად გაცემულია **13 მილიონ ლარამდე,** რითაც **12 540** სტუდენტს მიეცა უმაღლესი განათლების მიღების საშუალება, იმ ისტორიული და უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის **მიხედვით 2026 წლიდან უმაღლესი განათლება ჩვენი ახალგაზრდებისათვის სახელმწიფო უნივერსიტეტებში სრულიად უფასო ხდება,** რა თქმა უნდა, აღნიშნული პროგრამა იმუშავებს მილევად რეჟიმში, ანუ ყველა იმ სტუდენტს, რომელიც ჩართული იყო ამ პროგრამაში, გაუგრძელდება სწავლის საფასურის დაფარვა.

2025 წელს:

- ✓ სტუდენტთა დახმარების პროგრამის ფარგლებში სწავლა დაუფინანსდა 1031 სტუდენტს;
- ✓ სტუდენტთა მოტივაციის გაზრდის მიზნით დაფინანსდა 50%- 70% - 100% -იანი გრანტის მფლობელი 386 პირველი კურსის სტუდენტი;
- ✓ 2025 წელს დაწესდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ წარჩინებულ სტუდენტთა სტიპენდია. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისა და ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე 150 წარჩინებულ სტუდენტს გადაეცა 1000 ლარიანი სტიპენდია;
- ✓ სტიპენდიანტთა რაოდენობა გაორმაგდება და 2026 წელს 300 სტუდენტი გახდება სტიპენდიის მფლობელი;
- ✓ 2026 წელს დაგეგმილია 1200 სტუდენტის სწავლის საფასურის დაფინანსება უმაღლესი განათლების საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე;
- ✓ STEM და ჰუმანიტარული მიმართულებების ხელშეწყობის მიზნით 2025 წელს დაფინანსდა 51 სტუდენტი, 2026 წლიდან გაიზარდა სტიპენდიანტების რაოდენობაც და სტიპენდიის ოდენობაც;
- ✓ საზღვარგარეთ სწავლების მიზნით სამინისტრო ახორციელებს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამას, რომლის ფარგლებში 2025 წელს გაიცა 36 სასწავლო გრანტი

ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წამყვან უნივერისტეტებში, ჯამში 705 000 ლარის ოდენობით;

- ✓ 2026 წელს გაიზარდა სწავლის დაფინანსების ოდენობა და სტუდენტზე ერთი აკადემიური წლისათვის გაიცემა 35 000 ლარი;
- ✓ ხორციელდება საბაკალავრო პროგრამა, რომლის ფარგლებში გაიცა 61 სასწავლო გრანტი, ჯამში 762 500 ლარის ოდენობით;
- ✓ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, 2026 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საზღვაო აკადემიისა და ხელოვნების უნივერსიტეტის 60 სტუნდეტი მიიღებს დაფინანსებას საზღვარგარეთ პარტნიორ უნივერსიტეტებში ერთი სემესტრით სწავლის მიზნით;
- ✓ 2025 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან 8 სტაჟიორი გაემგზავრა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში პროფესიულ სტაჟირებაზე, ხოლო ავტონომიურ რეპუბლიკაში მიღებულ იქნა 9 სტაჟიორი;
- ✓ 2026 წლისთვის დაგეგმილია 10 სტაჟიორის გაგზავნა საზღვარგარეთ, ასევე 10 სტაჟიორის მიღება ავტონომიურ რესპუბლიკაში;
- ✓ **უმაღლესი განათლების ხელშეწყობის** პროგრამის ფარგლებში ფინანსდება კონფერენციების და სეზონური სკოლების ორგანიზება, სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა, სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა. 2025 წელს დაფინანსდა 4 სეზონური სკოლის, 6 კონფერენციის ორგანიზება და 4 უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა/ბეჭდვა.

2026 წელს დაგეგმილია 6 კონფერენციისა და 3 სეზონური სკოლის ორგანიზების დაფინანსება. ამ **ეტაპზე მიმდინარეობს კონფერენციებისა და სეზონური სკოლის კონკურსების ფარგლებში წარმოდგენილი განაცხადების დამუშავება და გამარჯვებულების გამოვლენის პროცედურა. ასევე, დაფინანსდება 2 უცხოენოვანი სახელმძღვანელოს თარგმნა/ბეჭდვა.**

ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი

ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ექვსივე მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-დან 29 წლის ჩათვლით ახალგაზრდების მხარდაჭერის მიზნით აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა პროგრამას.

ცენტრი ორიენტირებულია ახალგაზრდების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, პროფესიულ და კარიერულ განვითარებაზე, თავისუფალი დროის სწორად მართვაზე, ასევე საერთაშორისო და მოხალისეობრივი გამოცდილების მიღების ხელშეწყობაზე.

2025 წელს ცენტრის მიერ განხორციელდა 55 ღონისძიება არაფორმალური განათლების, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და კარიერული განვითარების მიმართულებით. ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა თავისუფალი და სტუდენტური

ინიციატივების მხარდაჭერასა და მასშტაბურ ღონისძიებებს. აღნიშნულ პროგრამებსა და ღონისძიებებში ჯამში 10 000-მდე ახალგაზრდა ჩაერთო.

2026 წელს ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის მიერ დაგეგმილია 60-მდე ღონისძიების ჩატარება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 15 000-მდე ახალგაზრდა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ახალგაზრდების ჩართულობასა და განვითარების შესაძლებლობებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის მიერ ორგანიზებულ თემატურ ბანაკებს, ასევე ბანაკებს, რომლებიც ეთმობა ახალგაზრდებში პროფორიენტაციის თემას და ეხმარება მათ პროფესიის არჩევის გზაზე გადაწყვეტილებების მიღებაში, მნიშვნელოვანია სტუდენტური თვითმმართველობების ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამები და საერთაშორისო პროექტების ჩართვის ხელშეწყობა.

სპორტი

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სპორტის განვითარება წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს, რომელიც მიზნად ისახავს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, ახალგაზრდების მაქსიმალურ ჩართულობასა და პროფესიული სპორტის გაძლიერებას. სპორტის დეპარტამენტის მიერ ხორციელდება სხვადასხვა მიზნობრივი ქვეპროგრამები, რომლებიც ორიენტირებულია სპორტის ხელმისაწვდომობის ზრდაზე, ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენასა და მათ პროფესიულ განვითარებაზე. ასევე, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სპორტსმენების, მწვრთნელებისა და ვეტერანი სპორტსმენების მხარდაჭერას, რაც გამოიხატება როგორც ფინანსურ სტიმულირებაში, ისე მათი პროფესიული და სოციალური პირობების გაუმჯობესებაში. აჭარის რეგიონი აქტიურად არის წარმოდგენილი საერთაშორისო სპორტულ ასპარეზზე. ადგილობრივი სპორტსმენების მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში და მათ მიერ მიღწეული წარმატებები კიდევ ერთხელ ადასტურებს რეგიონის მზარდ პოტენციალს და სწორად დაგეგმილი სპორტული პოლიტიკის ეფექტიანობას.

2025 წელს, განათლებისა და სპორტის სამინისტროს, სპორტის სფეროს დაფინანსებისათვის გამოყოფილი ჰქონდა 18 მილიონ ლარზე მეტი. მიმდინარე წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 21 მილიონი ლარი.

- ✓ 2025 წელს სპორტის დეპარტამენტის მიერ დაფინანსდა 43 სპორტული ფედერაციის 600-ზე მეტი ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც ბათუმმა უმასპინძლა ისეთ მაღალი რანგის საერთაშორისო შეჯიბრებებს, როგორიცაა:
- ➢ ,,WTT Youth Contender Batumi 2025“ მაგიდის ჩოგბურთში;
- ➢ კადეტთა მსოფლიო ჩემპიონატი 8, 10 და 12 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის და მსოფლიო თასი ქალთა შორის ჭადრაკში;
- ➢ ბავშვთა საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში ,,ბათუმის თასი - 2025";

- ევროპის ჩემპიონატი ბილიარდში ,,თავისუფალი პირამიდა", საერთაშორისო ტურნირი ,,Batumi Open – 2025'' კონტაქტურ კარატეში;
- ძიუდოში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ,,შავი ზღვის თასი";
- ჩატარდა ევროპის ლიგის A დივიზიონის მატჩები ქვიშის ფეხბურთში;
- ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი ფიგურულ ციგურაობასა და შორთ თრექში;
- ევროპის თასი ნიჩბოსნობაში „დრაგონ ბოათი";
- საერთაშორისო ტურნირი კრივში;
- სპორტული თემატიკის ფორუმი;
- წლის შემაჯამებელი დაჯილდოება;
- ასევე ჩვენი რეგიონი აქტიურად ჩაერთო ანტინარკოტიკულ კამპანიაში - „მე მომავალში".

სპორტის ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში მსოფლიოს, ევროპისა და საქართველოს **ასაკობრივ ჩემპიონატებში მოპოვებული იქნა 373 მედალი, მათ შორის 110 ოქრო, 109 ვერცხლი და 154 ბრინჯაო.** აღსანიშნავია ისტორიული შედეგები ბილიარდში, ათლეტიზმში, ტაეკვონდოში და შერეულ ორთაბრძოლებში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების გუნდები სპორტის სხვადასხვა სახეობაში დაკომპლექტებულია ჩვენი რეგიონის სპორტსმენებით.

წარმატებულ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს გადაეცათ 1 000 000 ლარის ერთჯერადი ფულადი ჯილდო. ერთჯერადი ფულადი ჯილდოების პარალელურად, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებსა და პრიზიორებს, დაენიშნათ ყოველთვიური სტიპენდია, ასევე, ოლიმპიურ სახეობებში საქართველოს ჩემპიონებსა და მათ პირად მწვრთნელებს 2025 წლიდან დანიშნული აქვთ ყოველთვიური სტიპენდია, სტიპენდიის ქვეპროგრამაში ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენდა 151 სპორტსმენსა და მწვრთნელს. საქართველოს სპორტის დამსახურებულ მოღვაწეებსა და საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელებს, 74 ბენეფიციარს, სპორტის დეპარტამენტმა გაუწია ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა.

2026 წლის გეგმები - სპორტის დეპარტამენტის დაფინანსება გაიზარდა, რომლის ფარგლებში ხორციელდება 7 ქვეპროგრამა:

- ✓ პროფესიული და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- ✓ აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა, მთავარ და პირად მწვრთნელთა მიერ მიღწეული განსაკუთრებული წარმატებების წასახალისებლად ერთჯერადი ფულადი ჯილდოები - 1 200 000 ლარი;
- ✓ სათამაშო და ინდივიდუალურ სახეობათა განვითარების ხელშეწყობა;
- ✓ ახალგაზრდებში სპორტის პოპულარიზაცია და მასტერკლასები;
- ✓ მწვრთნელთა, მსაჯთა და სპორტსმენთა სოციალური მხარდაჭერა და წახალისება ;
- ✓ აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა და მათ პირად მწვრთელთა სტიპენდია;
- ✓ მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა.

- გაიზარდა სპორტული ფედერაციების რაოდენობა და მათი დაფინანსება, სპორტის დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე წელს ფინანსდება 46 სპორტული ფედერაცია, პროფესიული და მაღალი მიღწევების - 37 სპორტული ფედერაცია და მასობრივი სპორტის - 9 ფედერაცია.
- სპორტის დეპარტამენტის მიერ დაფინანსდება საერთაშორისო სპორტული ღონისძიებები.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით მნიშვნელოვნად გაიზარდა ერთჯერადი ფულადი ჯილდოები და სტიპენდიები, ასევე ჯილდოების ქვეპროგრამაში 2026 წლიდან გათვალისწინებულია ვეტერანი სპორტსმენები, 2026 წელს მწვრთნელთა, მსაჯთა და სპორტსმენთა სოციალური მხარდაჭერისა და წახალისების ქვეპროგრამით 74 ბენეფიციარზე გათვალისწინებული ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა განისაზღვრა 280 ლარით.
- საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწეებისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელებისათვის გაიზარდა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა. ვეტერანი სპორტსმენებისა და სპორტის მოღვაწეების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა ნაცვლად 600 ლარისა განსაზღვრულია არაუმეტეს 1000 ლარისა.
- დეპარტამენტის მიერ დამზადდება სამოტივაციო ვიდეო-რგოლები, რომლის მიზანიცაა სპორტის პოპულარიზაცია და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.
- გადამზადდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მუნიციპალიტეტში მოღვაწე სპორტის სხვადასხვა სახეობის მწვრთნელები, მსაჯები და სპორტული ფედერაციების წარმომადგენლები, რომლებსაც გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატები.
- ჩატარდება საუნივერსიტეტო სპორტული ფესტივალი.

მუხრან ვახტანაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე - სპორტის სასახლეში ფუნქციონირებს სპორტის 27 სახეობა. ჯამში ჩართულია 3000 ახალგაზრდა. წლის განმავლობაში გაიმართა 50-მდე სპორტული შეჯიბრი.

ირაკლი თურმანიძის სახელობის ძალოსნობის კომპლექსი - ირაკლი თურმანიძის სახელობის ძალოსნობის კომპლექსი სრული დატვირთვით ფუნქციონირებს და წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სპორტულ ცენტრს ქვეყანაში. ძალოსნობით დაინტერესებულ სპორტსმენთა რაოდენობა 80-მდე გაიზარდა.

კომპლექსში აქტიურად მიმდინარეობს სასწავლო-საწვრთნო პროცესები და შეკრებების ორგანიზება. მიმდინარე წელს უკვე ჩატარდა 4 სასწავლო-საწვრთნო შეკრება, ხოლო 2026 წლის ბოლომდე დაგეგმილია დამატებით 10 შეკრების ჩატარება. აღსანიშნავია, რომ კომპლექსმა უკვე უმასპინძლა არა ერთ მნიშვნელოვან ჩემპიონატს.

სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტები

მოგეხსენებათ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მუნიციპალიტეტში ხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები.

უკვე ფუნქციონირებს: ახალი სპორტის სასახლე, რომელშიც 27 სპორტის სახეობაა გაერთიანებული, მოეწყო მძლეოსნობის ბილიკი, UEfA-ს სტანდარტების ორი საფეხბურთო სტადიონი, შუახევის საფეხბურთო მოედანი, ღორჯომის სპორტული დარბაზი, ჩაქვში ძალოსნობის ბაზა.

მიმდინარე პროექტებია: ყინულის არენა და საცურაო აუზი; ხულოს თანამედროვე სტანდარტების სასპორტო სკოლა და საფეხბურთო სტადიონი.

დაგეგმილი პროექტებია: ბათუმის საჩოგბურთო კორტები, ქედის სპორტ-კომპლექსი და „ბეთლემის" საფეხბურთო მოედანი, ხელვაჩაურის სპორტ-კომპლექსი და ,,მაჭახელას" საფეხბურთო სტადიონი, ქობულეთის სასპორტო კომპლექსი, ჭადრაკის სასახლე, ფურტიოსა და ხუცუბნის სარაგბო მოედნები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება უზრუნველყოფს საარქივო ფონდის შევსებას, აღწერას, შენახვას, საარქივო ფონდის დოკუმენტების ელექტრონული ბაზის ფორმირებასა და მოქალაქეთა მომსახურებას. საარქივო სამმართველო ახორციელებს **ქვეპროგრამას - საარქივო დოკუმენტების ელექტრონული არქივის შექმნა** (გაციფრულება)

კულტურა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს სტრატეგიულ მიზნებს წარმოადგენს კულტურის პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელება და სისტემური განვითარება.

კულტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა, ახალგაზრდების პროფესიული განვითარებისა და საერთაშორისო პროექტებში ჩართვის ხელშეწყობა, ასევე მრავალფეროვანი კულტურული გარემოს უზრუნველყოფა.

სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებებია სახელოვნებო დარგების განვითარება, ინსტიტუციური გაძლიერება, ინკლუზიურ-ინტეგრირებული პროექტების განხორციელების ხელშეწყობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს 2025 წლის ბიუჯეტი 44 მილიონ ლარს შეადგენდა, საიდანაც 41 მილიონი პროგრამული დაფინანსებისათვის იყო

გათვალისწინებული. პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები:

- კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა;
- კულტურის ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა;
- ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა;
- კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია;
- მუზეუმებისა და გალერეების განვითარება;
- სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობა;
- ლიტერატურული ცხოვრების განვითარების ხელშეწყობა;
- სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა.

აღნიშნული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელებაში მონაწილეობდა კულტურის სამინისტროს სისტემაში შემავალი ორგანიზაციები : 9- სსიპ და 9 -ა(ა)იპ.

2025 წლის აპრილიდან 2026 წლის აპრილამდე პერიოდში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში, 700-მდე კულტურული ღონისძიება გაიმართა. განხორციელების პროცესში ჩართული იყო 8 000-ზე მეტი ადამიანი, აუდიტორიის საერთო საშუალო რაოდენობამ 150 000-ს გადააჭარბა.

ფოლკლორის პოპულარიზაციისა და ხელშეწყობის პროგრამა წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს მნიშვნელოვან მიმართულებას, რომელიც მიზნად ისახავს უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის, ფოლკლორის დაცვას, განვითარებასა და პოპულარიზაციას.

აღნიშნული პროგრამა ემსახურება ტრადიციების, სიმღერისა და ცეკვის შენარჩუნებას, ძველი ინსტრუმენტების აღდგენა-რესტავრაციას და მომავალი თაობებისათვის გადაცემას. ასევე, ფოლკლორულ პროექტებში ახალგაზრდების ჩართულობას.

წარმატებით განხორციელდა სხვადასხვა ქორეოგრაფიული ანსამბლების საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობა და მათი პოპულარიზაცია.

პროგრამის ფარგლებში:

- დაფინანსდა სახალხო დღესასწაულები;
- გაიმართა აჭარის სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა, რომელშიც 80-მდე ფოლკლორული ანსამბლი და 2000-მდე შემსრულებელი მონაწილეობდა;

- სასცენო სამოსი და აქსესუარები გადაეცა 6 ანსამბლის 350 შემსრულებელს;
- ეროვნული სამოსი და ხალხური საკრავები გადაეცათ ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტების კულტურის ცენტრებს, ასევე, სალოტბარო სკოლებს.

2025 წელს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა 20 ფესტივალი, 24 შემოქმედებითი პროექტი, ასევე დაფინანსდა 20-მდე ღონისძიება, მათ შორის ახალგაზრდებისათვის შემოქმედებითი ბანაკები, რაც ემსახურება მათი ცნობიერების ამაღლებასა და მოტივაციას.

სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა ახალი პროგრამა „მუსიკალური ბათუმი 2025". პროგრამის ფარგლებში - გაიმართა სხვადასხვა შინაარსისა და ფორმატის 9 მასშტაბური კონცერტი აჭარაში, და 3 გალა კონცერტი ათენში, ერევანსა და ვანაძორში.

პროგრამის მიზანია რეგიონის კულტურული პოტენციალისა და ტრადიციების წარმოჩენა, პოპულარიზაცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

ადგილობრივი მოსახლეობისა და ვიზიტორებისათვის მრავალფეროვანი პროგრამის შეთავაზება წელიწადის ოთხივე სეზონზე და ხელოვნების სფეროში მომუშავე ადამიანების უწყვეტი მხარდაჭერა.

კულტურის სამინისტრო ახორციელებს საერთაშორისო თანამშრომლობას, რაც წარმოადგენს სამინისტროს პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას.

მიდგომა ეფუძნება გრძელვადიან ხედვას, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონის კულტურული პოტენციალის საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენასა და კულტურული ტურიზმის განვითარებას.

ამ მიზნისათვის სამინისტროში ხშირად იმართება ოფიციალური და სამუშაო შეხვედრები საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან - ელჩებსა და კონსულებთან, ასევე უცხოურ დელეგაციებთან.

სახელოვნებო დარგების განვითარება სამინისტროს მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. სისტემაში 6 სახელოვნებო დაწესებულებაა.

სამინისტროს გადაწყვეტილებით, **ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლას გასულის წლის სექტემბერში სასწავლებლის სტატუსი მიენიჭა.** ახალი სტატუსით სასწავლებელს შეუძლია დანერგოს მართვის, სწავლების, მეთოდოლოგიისა და მოსწავლეთა პროგრესის შეფასების ინოვაციური მეთოდები, ასევე გამოიყენოს მსოფლიოს წამყვან მუსიკალურ სასწავლებლებში აპრობირებული სასწავლო პროგრამები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, **ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელმა იაპონიის სახელმწიფოს**

გრასრუტების კულტურული პროგრამის (GCGP) გრანტი 100 000 ევროს ოდენობით მოიპოვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ სახელოვნებო დარგების გაძლიერებისა და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერის მიზნით საფუძველი ჩაუყარა ახალ ტრადიციას. **დაფუძნდა სახელოვნებო სკოლების გალა კონცერტი „ახალი თაობა ხელოვნებისათვის".**

სისტემაში შემავალ 6 სახელოვნებო სკოლაში 2025 წლის მდგომარეობით სახელოვნებო განათლებას ეუფლებოდა 4500-ზე მეტი მოსწავლე. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს საშუალოდ 600-ზე მეტ თანამშრომელს. 2025 წლიდან **გაიზარდა სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება.**

2025 წლის ბიუჯეტი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა-რეაბილიტაციის მიმართულებით 6 091 600 ლარს შეადგენდა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა:

- ✓ აჭარაში არსებულ ავარიულ მდგომარეობაში არსებული ძეგლების რეაბილიტაცია;
- ✓ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტების შესყიდვა;
- ✓ პეტრას ციხის ინფრასტრუქტურული სამუშაოები;
- ✓ არქეოლოგიური ექსპედიციები;
- ✓ საინფორმაციო - მარკეტინგული ღონისძიებები.

2025 წელს:

პეტრას ციხეზე მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა:

- დასრულდა სამნავიანი ბაზილიკის რეაბილიტაცია კონსერვაცია;
- მოეწყო დამატებითი სამუზეუმო სივრცე, სადაც წარმოდგენილია არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი არტეფაქტები;
- სამუზეუმო სივრცეში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო უნიკალურ მოზაიკას, რომელიც წლების წინ პეტრას ციხეზე არქეოლოგიური გათხრების დროს იქნა აღმოჩენილი.

პეტრას ციხეს 56 000-მდე ვიზიტორი სტუმრობდა - (04.2025-04.2026)

გრძელდება ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძრის რეაბილიტაციის მესამე ეტაპი, სადაც ამჟამად მიმდინარეობს ფასადების, ვიტრაჟებისა და ფრესკების აღდგენითი სამუშაოები.

სააგენტოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია ხინოწმინდის ეკლესიის რეაბილიტაცია, რასაც საკუთრივ ძეგლის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა განაპირობებს.

ქედის მუნიციპალიტეტში დასრულდა ძენწმანის ჯამეს რეაბილიტაცია. ჯამე თავისი მხატვრული ორნამენტებითა და გაფორმებით წარმოადგენს ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.

მიმდინარეობს დაბა ჩაქვში ლაო ჯინ ჯაოს სახელობის მუზეუმის რეაბილიტაცია. შედეგად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ბაზაზე შეიქმნება კიდევ ერთი ახალი, საინტერესო და მიმზიდველი კულტურული ცენტრი.

ძველ ბათუმში, ასათიანის ქ. N.7-ში არსებული ძეგლის ფასადისა და შიდა სივრცის რეაბილიტაცია განხორციელდა. დასრულდა მემედ აბაშიძის ქ.N 43-ში მდებარე შენობის დაზიანებული შუშაბანდის აღდგენითი სამუშაოები.

გონიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზე ჩატარდა არქეოლოგიური ექსპედიციები.

გონიო-აფსაროსის ციხეს ეწვია - 88 000-მდე ვიზიტორი - (04.2025-04.2026).

მუზეუმების და გალერეების განვითარება

აჭარის მუზეუმი აერთიანებს 7 მუზეუმს, რომელთაც 2025 წლის აპრილიდან-2026 წლის აპრილამდე პერიოდში:

- ეწვია 70 000-მდე ვიზიტორი;
- ჩატარდა - 2000-მდე ექსკურსია, საგანმანათლებლო პროგრამა და ღონისძიება;
- სამუზეუმო სერვისებით ისარგებლა - 17 000-ზე მეტმა სტუდენტმა, მოსწავლემ და სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელმა;
- **2025 წელს მუზეუმების ფონდები 900-ზე მეტი ახალი ექსპონატით გამდიდრდა;**
- ჩატარდა მუზეუმების სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, უზრუნველყოფილ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და გათბობა-გაგრილების სისტემით აღჭურვა.

სამინისტროს სისტემაშია 3 პროფესიული სახელმწიფო თეატრი - ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი და იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი. აღნიშნული თეატრები წარმოადგენენ თეატრალური ხელოვნების განვითარების მნიშვნელოვან ინსტიტუციურ საფუძველს.

2026 წელს ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები განხორციელდა:

- **იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი სრულად გადავიდა სამინისტროს დაფინანსებაზე**, რაც ხელს უწყობს თეატრის განვითარებას და შემოქმედებითი პროცესების გაძლიერებას, მენეჯმენტის მოქნილ მუშაობას;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, 2026 წლის მარტს, **იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა, თურქეთში, აქჩააბათის მუნიციპალიტეტში, XIII საერთაშორისო ეროლ გიუნაიდინის თეატრალურ დღეებში მიიღო მონაწილეობა.** ფესტივალში ასევე მონაწილეობდნენ ბათუმელი მხატვრები;
  ეროლ გიუნაიდინის ფესტივალი მიზნად ისახავს კულტურისა და ხელოვნების სფეროში თანამშრომლობის განვითარებას, ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებას და კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას;
- 2026 წლის, 13-14 მაისს, ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის შემოქმედებითი დასი **„ტრაპიზონის შავი ზღვის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში**" მონაწილეობდა, სადაც წარადგინა სპექტაკლი „დარისპანის გასაჭირი". წარმოდგენამ დიდი მოწონება დაიმსახურა. თეატრს გადაეცა ფესტივალის სპეციალური დიპლომი და პრიზი;
- 2026 წლის **20 მაისს, შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში, გაეროში,** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის ორგანიზებით **გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო მიღება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო აჭარის სახელმწიფო ვოკალურმა ანსამბლმა „ბათუმმა".** აჟღერდა ქართული ტრადიციული პოლიფონია და გალობა;
- ასევე 25-29 მაისს, **ბათუმის დრამატული თეატრი** გაემგზავრა ყაზახეთში, ქალაქ ტალდიკორღანი, რიმოვას სახელობის აკადემიურ დრამატულ თეატრში, **IV საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში „BIKEN FEST" მონაწილეობის** მისაღებად. თეატრი ფესტივალზე წარადგინა სპექტაკლი „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან";
- სექტემბრის შუა რიცხვებში იგეგმება ქალაქ სტამბოლში ათა-თურქის სახელობის კულტურის ცენტრში გრანდიოზული გალა კონცერტი, სადაც აჟღერდება ქართული კლასიკური მუსიკა;
- 2026 წლის 24-28 მაისს აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი **„არსიანი" მიწვეულ იყო ქ. ასტანაში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად;**
- მიმდინარეობს მუშაობა შვეიცარიულ ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ თანამედროვე და კლასიკურ **მუზეუმთან BEYELER FOUNDATION - ლაზი მხატვრის ჰასან ჰელიმიშის ნამუშევრების გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებით.** ბეილერის ფონდში 2023-2024 წელს გაიმართა ქართველი გენიალური მხატვრის ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენა;

- ასევე 2026 წელს იგეგმება ქართველ ქალ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა სომხეთის რესპუბლიკაში, ბათუმთან დამმობილებულ ქალაქ ვანაძორში.

2026 წელი სამინისტრომ მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებებით, პროექტებით და პროგრამებით დაიწყო:

- **შეიქმნა ახალი პროექტი „კულტურა მთაში“** - კულტურის სამინისტროს ახალი პროექტი, მიზნად ისახავს მაღალმთიან აჭარაში კულტურული ცხოვრების გააქტიურებას, ტრადიციული ავთენტური კულტურის დაცვა-განვითარებას, შემოქმედებითი პროცესების გაძლიერებას, კულტურული პოტენციალის გაზრდასა და ახალგაზრდების დაინტერესებას;
- **გაიმართა ქართული ცეკვის მასტერკლასები** თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ორჰანგაზის კავკასიურ-ქართული კულტურის ასოციაციასთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრებისათვის;
- **ჩატარდა ქართული ხალხური ქორეოგრაფიისა და სიმღერის მასტერკლასები** - ქორეოგრაფებისა და ლოტბარების, ასევე, სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებისათვის;
- დაიწყო სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა **ფოლკორული ოლიმპიადა;**
- **მიმდინარეობს მუშაობა არაფორმალური სახელოვნებო განათლების გაძლიერების მიმართულებით** მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების მოძიება-წარმოჩენის მიზნით.

ხელოვანთა ხელშეწყობის ფარგლებში გაიმართა:

- გაიმართა ქართველ ქალ მხატვართა გამოფენა - ,,ქალი გაზაფხულის ექსპრესია“. ექსპოზიცია აერთიანებს აჭარაში მცხოვრებ და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მოწვეულ ქალ მხატვართა ნამუშევრებს - გამოფენა იმოგზაურებს ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყანაში;
- 2-3 მაისს ჩატარდა საერთაშორისო საბალეტო მასტერკლასები ბათუმის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის. მასტერკლასებს უძღვებოდნენ იტალიიდან მოწვეული, საერთაშორისო დონის სპეციალისტები.

სასცენო ხელოვნების ხელშეწყობის ფარგლებში:

- სამინისტროს ინიციატივით **შეიქმნა ორი ახალი ფესტივალი „კლასიკური კონცერტები ბათუმში“** და **„გონიოს საერთაშორისო ფესტივალი“,** რომელიც ხელს შეუწყობს კულტურული ტურიზმის განვითარებას;
- აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“ სოლო კონცერტით წარსდგება გერმანიის ქალაქ ლაიფციგში. კონცერტი, 2026 წლის 7 ნოემბერს, მსოფლიოს ერთ-

ერთ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ კულტურულ სივრცეში - წმინდა თომას ეკლესიაში გაიმართება;

- ივლისში, ფესტივალზე „ჩვენებურები“ წარსდგებიან აჭარის ფოლკლორული ანსამბლები. გაიმართება გენიალური ლაზი მხატვრის ჰასან ჰელიმიშის გამოფენა; „ჩვენებურების“ ფესტივალი მიეძღვნება ანზორ ერქომაიშვილის ხსოვნას და ჩატარდება სამ ქალაქში: ბურსაში, ორჰანგაზსა და ინეგოლში.

  ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეთნიკურ ქართველებთან, რომლებიც თურქეთში ცხოვრობენ და აქვთ სურვილი შეინარჩუნონ თავიანთი ისტორიული იდენტობა, აჭარის კულტურის სამინისტროს ჰქონდეს მუდმივი კონტაქტი და განხორციელდეს სხვადასხვა კულტურული პროექტები.

- **გამოცხადებულია საერთაშორისო ფესტივალებისა და შემოქმედებითი პროექტების მხარდაჭერის საგრანტო კონკურსები,** რომლის შედეგებიც მალე გამოვლინდება;

- **გამოცხადებულია ლიტერატურული კონკურსები ფრიდონ ხალვაშისა და ზურაბ გორგილაძის სახელობის სტიპენდიების მოსაპოვებლად. აღნიშნულ კონკურსებში მონაწილეობა შეუძლიათ 18-დან 35 წლის ჩათლით ახალგაზრდა ავტორებს.** აღნიშნული კონკურსის ფარგლებში 4-4 საუკეთესო მონაწილე იღებს ფრიდონ ხალვაშისა და ზურაბ გორგილაძის სახელობის ყოველთიურ სტიპენდიას ერთი წლის ვადით (375 ლარი თვეში). გასულ წლებში სტიპენდია გაიცემოდა 7 თვის ვადით, ხოლო 2026 წლიდან, კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით ვადა განისაზღვრა 12 თვით;

- **ახლო მომავალში (სექტემბერი) იგეგმება ზაქარია ფალიშვილის სახელობის სტიპენდიის დაწესება წარმატებული ნორჩი მუსიკოსისათვის, რომელიც მიიღებს 500 ლარს ყოველ თვეში. ჯამში 6000 ლარს;**

- მიმდინარეობს **მუშაობა, რათა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეიქმნას ფოლკლორის ცენტრი,** ხალხური ხელოვნების სკოლის ბაზაზე, რაც იქნება უმნიშვნელოვანესი მომავალი თაობისათვის;

- კულტურის სამინისტროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია კლასიკური მიმართულების გაძლიერება. **მიმდინარეობს მუშაობა ოპერის ჩამოყალიბების მიმართულებით.**

კულტურა და კულტურული მემკვიდრეობა

კულტურისა და ხელოვნებისა დარგები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების განვითარებისა და კეთილდღეობის გაძლიერებაში. აღნიშნული მიმართულებები ხელს უწყობს არა მხოლოდ სოციალურ და კულტურულ პროგრესს, არამედ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე, წამყვანი როლი აქვს გლობალურ არენაზე ქვეყნის პოზიციონირებისა და საერთაშორისო რეპუტაციის განმტკიცების კუთხით. კულტურის

მხარდაჭერა და ხელოვნების სფეროს განვითარება სახელმწიფო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი და პრიორიტეტული მიმართულებებია.

კულტურის ხელშეწყობისა და ხელოვნების დარგების განვითარების მიმართულებით მთავრობის ხედვა ეფუძნება კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და ხელშეწყობას, კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვასა და ქვეყნის კულტურული და შემოქმედებითი პოტენციალის სრულად გამოყენებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას. მთავრობა გააგრძელებს კულტურის ხელშეწყობის ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელებას – ლიტერატურის, თეატრის, მუსიკის, ფოლკლორის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, კულტურის ინფრასტრუქტურის განვითარების, საერთაშორისო პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის, კულტურის ხელმისაწვდომობისა და სახელოვნებო განათლების განვითარების მიმართულებით. ამასთან, სამინისტროს მიერ განსახორციელებელი პროგრამების დაფინანსება ყოველწლიურად მზარდია:

- 2025 წელი - 41 000, 000 ლარი;
- 2026 წელი - 48 000 000 ლარი.

2026 წელს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა-რეაბილიტაციის მიმართულებით მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებები:

ბათუმის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ტაძრის უნიკალურ ვიტრაჟებს, ჩატარებულ იქნა ფასადის სამუშაოები. პროექტირების ეტაპზეა რეაბილიტაციის პროექტის მეოთხე ეტაპი, რომელიც მოიცავს ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოებს და ტაძრის შშმ პირთათვის ადაპტირებას.

- მიმდინარეობს დაბა ჩაქვში ლაო ჯინჯაოს ქართულის ჩაის მუზეუმის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები. პროექტირების ეტაპზეა მუზეუმის ინტერიერის მოწყობის პროექტი;
- პროექტირების ეტაპზეა ცხმორისის დამწვარი მეჩეთის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
- საციხურის მეჩეთის აღდგენისა და რეაბილიტაციის სამუშაოებთან დაკავშირებით გამოცხადებულია სახელმწიფო შესყიდვების ტენდერი;
- ხინოწმინდის სახელობის მონასტრის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი დასრულებულია. მიმდინარეობს მეორე ეტაპის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, რომელიც მიმდინარე წელს დასრულდება;
- ბათუმის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის სახურავის რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებით გამოცხადებულია სახელმწიფო შესყიდვების ტენდერი;
- მიმდინარეობს ქალაქ ბათუმში ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ურბანული ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;

- მიმდინარეობს გონიოს ციხის ტერიტორიაზე ახალი, შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული ინკლუზიური, მრავალსენსორული სამუზეუმო სივრცის მოწყობასთან დაკავშირებით საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
- ბათუმის ცენტრალური მეჩეთის განბანვის ადგილის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
- აჭარაში მოქმედ მეჩეთებში განსაკუთრებული საფრთხის შემცველი ელექტროსადენების რეაბილიტაციის პროექტირება (4 ჯამე);
- დაგეგმილია გონიოს, პეტრას, ფიჭვნარის, კავიანის ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამეცნიერო კვლევა-ძიებითი სამუშაოები;
- გრძელდება გონიოსა და პეტრა ციხის ბაზაზე საგანმანათლებლო შემეცნებითი გაკვეთილების ჩატარება როგორც რეგიონის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებისათვის, ასევე საქართველოს სხვა კუთხეებიდან;
- ძეგლების პოპულარიზაციის მიზნით დაგეგმილია პლატონ გიგინეიშვილის, ცნობილი ბათუმელი ექიმის ხსოვნისათვის მიხღვნილი სალონური საღამოს ორგანიზება, III კვარტალი;
- ძეგლების პოპულარიზაციის მიზნით მოეწყობა „რომაული ფესტივალი" გონიოს ციხეში, III კვარტალი;
- პეტრას ციხეზე მხატვრებისსთვის შემოქმედებითი პლენერი, III კვარტალი;
- ბავშთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შემეცნებით გასართობი ფესტივალი;
- არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით მიმდინარეობს ხის დამუშავებისა და გამოყენების უნიკალურ ცოდნასთან დაკავშირებული ხითხუროობის გზამკვლევი ალბომის გამოცემა, III კვარტალი;
- მიმდინარეობს შოთა მამულაძის სახელობის კვლევითი ცენტრის საწყობისა და ღობის მოწყობის სამუშაოები;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებში თანამედროვე ლანდშაფტის არქიტექტურის გამოყენებასთან დაკავშირებით შემეცნებით-საგანმანათლებლო კონფერენციის ორგანიზება - III კვარტალი;
- ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო-საინფორმაციო ფილმების/სერიების შექმნა და წარდგენა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით, კულტურის სამინისტრო, განახლებული პროგრამებითა და სტრატეგიულ პრიორიტეტებზე დაფუძნებული ინიციატივებით განაგრძობს კულტურის სფეროს განვითარებას.

სამინისტროს 2026 წლის ბიუჯეტი გასულ წელთან შედარებით 8 მილიონით გაზრდილია და შეადგენს 52 მილიონ ლარს, რაც ნათლად მიუთითებს, რომ კულტურის პოლიტიკის გაძლიერება აჭარის მთავრობისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

გრძელდება მუზეუმებისა და გალერეების განვითარება

ამჟამად მიმდინარეობს ბათუმის სულიკო ჟღენტის კინოს მუზეუმის დიზაინზე მუშაობა, დაგეგმილია მუზეუმის დიზაინ პროექტის მიხედვით აღჭურვა და 2027 წელს გახსნა.

დასრულდა მემედ აბაშიძის სახლ-მუზეუმის ძირითადი სარემონტო სამუშაოები, ამჟამად მიმდინარეობს იატაკის რესტავრაცია, დაგეგმილია მუზეუმის აღჭურვა და 2026 წლის დეკემბერში მუზეუმის გახსნა.

გრძელდება საგანმანათლებლო პროექტები, რომლის ფარგლებში ათასობით ბავშვი და მოზარდი ეცნობა მუზეუმებში დაცულ ქართლ კულტურულ მემკვიდრეობას.

დაგეგმილია სხვადასხვა ფორმატისა და შინაარსის ღონისძიებები ახალგაზრდა ნიჭიერი ხელოვანების წარმოჩენისა და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ავტონომიურ რესპუბლიკაში მოღვაწე მხატვრების აღმოჩენისა და წარმოჩენის მიზნით მოეწყობა ექსპოზიციები ადგილობრივ საგამოფენო სივრცეებში, ასევე საზღვარგარეთ, პრესტიჟულ გალერეებსა და ხელოვნების ცენტრებში.

მოეწყობა თემატური გამოფენები, სადაც გამოიფინება სამუზეუმო სივრცეებში დაცული ნივთები, არტეფაქტები. მსგავსი ფორმატის გამოფენები წარმოაჩენს ჩვენი რეგიონის მრავალფეროვან კულტურულ გარემოს და უძველეს ტრადიციებს. ამასთან, მსგავსი კულტურული ღონისძიებები ზრდის ვიზიტორების ინტერესს აჭარის მიმართ.

სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

- ყოველწლიურად სახელოვნებო სკოლებში საგანმანათლებლო პროგრამას გაივლის 3000-მდე მოსწავლე, სასწავლო-შემეცნებით პროექტებში მონაწილეობას მიიღებს არანაკლებ 1 500 ბავშვი;
- გაგრძელდება სახელოვნებო განათლების დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების ზრდა;
- განხორციელდება სახელოვნებო სკოლების მუსიკალური ინსტრუმენტების განახლების ფართომასშტაბიანი პროექტი;
- გაგრძელდება სახელოვნებო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროცესი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2026 წლის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა და განისაზღვრა 40,9 მლნ ლარით, რომელიც მოიცავს 16 პროგრამას და 12 ქვეპროგრამას.

სოფლის მეურნეობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უმნიშვნელოვანესი დარგია და წარმოადგენს სოფლად დასახლებული მოსახლეობის შემოსავლების ერთ–ერთ ძირითად წყაროს. ამასთან, მისი ძირითადი ფუნქციაა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც დამოკიდებულია ადგილობრივი პროდუქციის წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდაზე, თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვაზე, ნიადაგის პროდუქტიულობის ამაღლებასა და აგრარულ სექტორში დასაქმებულების ცოდნის გაფართოებაზე.

სამინისტრო ახორციელებს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამას, რომელიც მოიცავს ორ კომპონენტს, მათ შორის, საოჯახო მეურნეობების მხარდაჭერას. დაფინანსდება 5000 -მდე ფერმერული მეურნეობა რომლის ბიუჯეტი შეადგენს 2 848 192 ლარს.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად სტრატეგიულ მიმართულებას, რომელიც მიზნად ისახავს სოფლად ეკონომიკური აქტივობის გაძლიერებას, აგრომეწარმეობის წახალისებასა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. პროგრამა უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდასა და მცირე და საშუალო მეურნეობების ინსტიტუციურ გაძლიერებას.

რაც შეეხება სოფლად მეწარმეობის განვითარების პროექტს, დაფინანსდება არანაკლებ 7 პროექტი. პროექტის ფარგლებში თანადაფინანსება განხორციელდება რამდენიმე მიმართულებით: „აგროინვესტიცია აჭარაში“, „აგროსაწარმოს გადაიარაღება/გაფართოება“, „გახდი აგრომეწარმე“, „ახალგაზრდა აგრომეწარმე“. პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 1 000 000 ლარს.

„სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის“ კომპონენტი მიმართულია ინოვაციური აგროსამეწარმეო ინიციატივების მხარდაჭერაზე, დამატებული ღირებულების მქონე პროდუქციის წარმოების გაფართოებასა და სოფლად ეკონომიკური დივერსიფიკაციის ხელშეწყობაზე. აღნიშნული ინტერვენციები ქმნის საფუძველს გრძელვადიანი, მდგრადი და კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის განვითარე-ბისათვის.

მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს აგროსერვისების განვითარება, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 10 380 773 ლარს. პროგრამა ითვალისწინებს მეცხოველეობის ხელშეწყობას, სამელიორაციო სისტემების მართვას, მეფუტკრეობის მხარდაჭერას, სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგებისა და ჩითილების წარმოებას, ასევე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშთა განახლებას.

სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მიმართულებით საქმიანობა მოიცავს გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, ტყის დაცვასა და მოვლას, ტყეების მდგრად მართვასა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას. აღნიშნული მიმართულებით პროგრამების დაფინანსება შეადგენს 18 827 567 ლარს.

2026 წელს ასევე განხორციელდება სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევების (ტესტირების) ჩატარებას. მისი ბიუჯეტი შეადგენს 1 865 800 ლარს.

2025 წელს სამინისტროს ბიუჯეტი 86 %-ით შესრულდა, ხოლო 2026 წელს უწყების ფინანსური დოკუმენტი 11 %-ით გაიზარდა და 40.9 მლნ ლარი შეადგინა.

2025 წელს აგროსექტორის მდგრადი განვითარების, ადგილობრივი წარმოების პროდუქციის პოპულარიზაციის, აგრარული ექსტენციის მიწოდების, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის, აგროსერვისის განვითარების, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ტყის მდგრადი მართვის მიმართულებით სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებაზე ორიენტირებული პროგრამები განახორციელა, რომლის მიზანი იყო სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების, საოჯახო მეურნეობებისა და მეწარმე სუბიექტების განვითარების ხელშეწყობა, პროდუქციის მწარმოებელთა ეფექტიანობისა და მდგრადობის ამაღლება, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა, ტყის მდგრადი მართვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით, 2025 წელს განახორციელა საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა. პროგრამის ფარგლებში, თანადაფინანსებით 7000-მდე ფერმერს გადაეცა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

8000-მდე ფერმერს, სხვადასხვა დარგის მიხედვით, საველე პირობებში ჩაუტარდა სწავლება კონსულტირება. მეფუტკრეობის დარგის განვითარების მიზნით, ყველა მუნიციპალი-ტეტის მეფუტკრე ფერმერებს გადაეცა 2000 სკა.

ციტრუსის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით ექსპორტირებული იქნა 27 000 ტონაზე მეტი სტანდარტული მანდარინი, რომლის ღირებულებამ 43 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა. ასევე, გადამუშავდა 14 000 ტონაზე მეტი არასტანდარტული მანდარინი, რისთვისაც გაიცა 5 მილიონ ლარამდე სუბსიდია.

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, ქედისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაუტარდა 8 სარწყავ არხს, რამაც მომსახურება გაუწია 600-მდე ადგილობრივ მოსახლეს.

მებოსტნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, შუახევის საჩითილე მეურნეობაში წარმოებული იქნა 300 000 ცალი ბოსტნეულის ჩითილი, რითაც ისარგებლა 10 000-მდე

ფერმერმა. 150 ფერმერზე გაიცა მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნერგები, რომლებიც გაშენდა 36 ჰექტარ ფართობზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2025 წელს ჯამში განახორციელა 16 პროგრამა და 13 ქვეპროგრამა, რომლითაც ისარგებლა 29 000-მდე ფერმერმა.